2011 წელი, 29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი

ახალი განათლება

№28 (542) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დირექტორი ნათია ჯოხაძე

გვერდი 6

ზეზამკვლევი მასწავლებლებისთვის

გახსოვდეთ! უნდა აღინიშნოს ბავშვის მონდომება და მცდელობა და არა „საუკეთესო შედეგი“ ან ცოდნა

გვერდი 4-5

დირექტორთა კლუბი

ახალი რუბრიკის პირველი სტუმარია თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ამირან ჯაფაგიძე

გვერდი 7

ყურადღება!

„ახალი განათლების“ რედაქცია, სკოლების მოთხოვნის საფუძველზე, სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შესავსებად და საგნობრივი კაბინეტების თვალსაჩინოებებით აღჭურვისთვის,

სპეციალურ ფასად გთავაზობთ:

თემატურ პლაკატებს დაწყებითი და მაღალი კლასებისათვის, ქართველი მწერლების პორტრეტებს, ცნობილი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციებს, ასევე, მხატვრულ ლიტერატურასა და ენციკლოპედიებს,

ოქტომბრიდან კი, დამატებით – ქართველ მწერალთა ტომეულებს.

ჩამონათვალი იხილეთ – გვ. 3, გვ.12

გაუმჯობესებული სასწავლო გარემო და მეტი მოლოდინი

წლების წინ, როცა განათლების რეფორმა იწყებოდა, უცხოელი ექსპერტები და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ბევრს მოგზაურობდნენ საქართველოს რეგიონებში პედაგოგებთან, სკოლების დირექტორებთან შესახვედრად, რათა რეფორმის არსი გაეცნოთ მათთვის. ასეთი შეხვედრები საათობით გრძელდებოდა. იოლი არ იყო უხელფასო და იმედგაცრუებული პედაგოგის იმაში დარწმუნება, რომ მხოლოდ შეთავაზებული სიახლეებისათვის მხარდაჭერით შეიძლება ვითარების შეცვლა. ახლა ვფიქრობ, რომ ეს რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეტაპი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, თითქმის არც ერთი სკოლა აღარ ჰგავდა სასწავლო დაწესებულებას და არა მარტო გარეგნულად. განსაკუთრებით სავალალო იყო ვითარება სოფლის სკოლებში. 20-25 წლის გაურემონტებელი შენობები დანგრევის პირას იყო მისული. ბევრი მალევე დაინგრა და მათ ადგილას თანამედროვე სტანდარტების, სათანადოდ აღჭურვილი საუკეთესო შენობები აშენდა, ბევრს რეაბილიტაცია ჩაუტარდა, პროცესი ახლაც მიმდინარეობს და მაშინ დასრულდება, როცა ქვეყნის ყველა რეგიონში, ქალაქად თუ სოფლად, ყველაზე გამორჩეული სწორედ სკოლის შენობა იქნება.

ჩვენი ახალი რუბრიკა „სოფლის სკოლა“ ამ თემაზე მომზადებულ პუბლიკაციებს შემოგთავაზებთ. შეგიძლიათ თავადაც მოგვწეროთ თქვენი სოფლის სკოლის მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ. მე კი მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის სკოლა მხოლოდ იმიტომ ავირჩიე, რომ კარგად მახსოვს 2009 წლის დირექტორების არჩევნები, როცა ახალგაზრდა კაცი, თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის კურსდამთავრებული, პედაგოგიური გამოცდილებით, საკუთარი სკოლის (მცხეთის №1) დირექტორობის კანდიდატი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, სოფელ ძეგვის სკოლის დირექტორად დაინიშნა. **ბექა (ფარნაოზ) იორდანიშვილი** მესამე თაობაა ოჯახში, ვინც თავისი საქმიანობა სკოლას დაუკავშირა. მისი პაპა, ფარნაოზ იორდანიშვილი ცნობილი პედაგოგი ჯერ სოფელ ჩარდახის 8-წლიანი სკოლის, ხოლო შემდეგ წლების განმავლობაში სოფელ წეროვნის საშუალო სკოლის დირექტორი იყო პენსიაზე გასვლამდე. მამა – **ნიკოლოზ იორდანიშვილი** მხატვარი კერამიკოსი, მცხეთის კერამიკული ქარხნის წამყვანი სპეციალისტი, პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კერამიკულ სკოლაში. ახლა იგი ყოველმხრივ მხარში უდგას შვილს სკოლის პრობლემების მოგვარებაში.

გვერდი 2

სოფლის სკოლა

გაუმჯობესებული სასწავლო გარემო და მეტი მოლოდინი

* * *

ძეგვი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული წარსულის მქონე, საკათალიკოსო სოფელია. ეს ადგილმდებარეობა (მცხეთიდან 9 კმ. მოშორებით) ისტორიულ წყაროებში VII-VIII საუკუნეებიდან მოიხსენიება, სახელწოდება კი დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება – დიდგორის ომიდან დაბრუნებულ მეფეს დაუნახავს, მამაკაცი გვიდა და განცვიფრებულს უკითხავს – „ძე გვის?“ მეორე ვარიანტით, ეს ადგილი ეკალბარდით, ძეძვნარით დაფარული ყოფილა და ძეგვიც ამიტომ დაურქმევიათ.

ძეგვი საკმაოდ დიდი სოფელია, 4000-ზე მეტი მაცხოვრებლით. ხუთი მოქმედი ეკლესიით, საბავშვო ბაღითა და საჯარო სკოლით, სადაც 300-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, წელს პირველ კლასში 31 ბავშვი ირიცხება. როცა ბატონი ბექა სკოლაში მივიდა, 40-ზე მეტი პედაგოგი მუშაობდა აქ. მას, ისე როგორც ბევრ სხვა მის კოლეგას, მეტად მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება მოუხდა და 12-მა პედაგოგმა დატოვა სკოლა. დირექტორობის მეოთხე სასწავლო წელს უკვე შეიძლება მოკრძალებულ შედეგებზე საუბარი. პირველი, რაც თვალში საცემია, შემოღობილია ერთ დროს გავერანებული სკოლის საკმაოდ დიდი ტერიტორია – 1, 7 ჰა. მოწესრიგებულია სპორტმოედნები და ტუალეტი; შენობაში შეჰყავთ წყალი, გამოცვლილია სახურავი და კარ-ფანჯრები, გასუფთავებული და შეღებილია საკლასო და კომპიუტერების ოთახები, რომლებშიც შეტანილია თანამედროვე მერხები და მაგიდები, ადგილი შეიცვალა ბიბლიოთეკამ და დალაგების პროცესშია. რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, ვერც პარამეტრებითა და ვერც აღჭურვილობით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. საქმე ისაა, რომ 1965 წელს, ამ ადგილას საბაზო სკოლის მშენებლობა დაიწყო (მანამდე დაწყებითი სკოლა სოფლის ბოლოში, ორსართულიან შენობაში იყო განთავსებული, V-დან ზევით კი – ახლანდელი გამგეობის შენობაში), ამიტომ საკლასო ოთახებიცა და სპორტული დარბაზიც მცირე ზომის იყო გათვალისწინებული. მაშინდელი დირექტორის, ქალბატონ **ლიზა როსტიაშვილის** დიდი მცდელობით, შენების პროცესში გადაწყდა, რომ სკოლა საშუალო ყოფილიყო, თუმცა პარამეტრები და სტანდარტები საბაზოსი დარჩა – ძირითადად ვიწრო საკლასო ოთახები, მომცრო ზომის სპორტული დარბაზი, არ არის გათვალისწინებული კაბინეტური სწავლების სპეციფიკა, არც სასადილო, თუმცა მასზე მოთხოვნა დიდია, ყოველ დასვენებაზე ბავშვები სიამოვნებით მიიჩქარიან სასადილოდ წოდებულ ერთ პატარა ოთახში, სადაც ახალ-ახალი ფუნთუშეულით უმასპინძლდებიან.

ჩვენთან საუბარს დირექტორი პედაგოგიური კოლექტივით იწყებს და ამბობს, რომ გამორჩეულად კარგი ადამიანები და თავიანთი საქმის ზედმიწევნით მცოდნენი, სკოლის გულშემატკივრები არიან, ყველა პრობლემურ სიტუაციაში ანგარიშს უწევენ ერთმანეთს და გაგებით ეკიდებიან ისეთ გადაწყვეტილებებსაც კი, რომელსაც შინაგანად არ ეთანხმებიან. სასწავლო წელი შეუფერხებლად დაიწყო, სოციალურად დაუცველთათვის წიგნები სკოლის ბიბლიოთეკიდანაც შეირჩა და არავინ არის სახელმძღვანელოს გარეშე. ცოტათი „შეშინებულები“ პირველკლასელები ჩანან, ერთბაშად ბევრ სიახლესთან მოუწევთ შეგუება – სკოლის გარემო, ნეთბუქები, უცხო ენა... რასაც ვერ ვიტყვი მოზრდილებზე, მათ პირიქით, მოსწონთ ახალი საგნები: ქორეოგრაფია, საგზაო ნიშნები, სპორტის გაკვეთილები, კულტუროლოგია, რომელიც არჩევითი საგანია და ბავშვების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ახალ შენობაში გადმოსვლის წლების შესახებ გვიამბობს მათემატიკის მასწავლებელი, ქალბატონი **ლილი ოვაშვილი**, ისიც ოჯახითაა დაკავშირებული ძეგვის სკოლასთან. იხსენებს, როგორ გამოხატა მათემატიკური ფორმულებით საკუთარი გრძნობები მისმა მომავალმა მეუღლემ ამირან ოვაშვილმა, რომელიც 37 წელი ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა, მათმა სამივე შვილმაც ეს სკოლა დაამთავრა და საკმაოდ წარმატებულებიც არიან თავიანთ საქმეში. ერთი მათგანი გიორგი ოვაშვილია „გაღმა ნაპირის“ რეჟისორი, რომელთან შეხვედრას ინტერესით ელიან მისი პედაგოგები, მოსწავლეები, თანასოფლელები.

„ძალიან მიჯაჭვული ვარ ამ სკოლაზე, მთელი ცხოვრება აქ გავატარე, ძალიან მძიმე წლები გამოვიარეთ, მაგრამ საქმისთვის არ გვიღალატია – ამბობს ქალბატონი ლილი, – ჩემი ყოფილი მოსწავლეები: ეკა მახარაშვილი, ხათუნა სოლოღაშვილი, გულიკო მარქარაშვილი ახლა ჩემი კოლეგები არიან, სამწუხაროდ, ბევრი კარგი მასწავლებელი უკვე აღარ არის ჩვენ შორის, მაგალითად, ბიოლოგიის მასწავლებელი ***ოლია თაბუკაშვილი****, კარგი პიროვნება და ნამდვილი პროფესიონალი, რომელსაც აქვე, სკოლის ეზოში საცდელი მეურნეობა ჰქონდა, სადაც ბავშვებს პრაქტიკულ მეცადინეობებს უტარებდა. შემდეგ ეზო გავერანდა, გაიძარცვა... ახლა, როცა ისევ შემოიღობა, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ სოფელიც შეგვიწყობს ხელს. როგორც ვიცი, ჩვენი ქიმიის მასწავლებელს აქვს კიდეც იდეები, უფრო დაწვრილებით თავად მოგიყვებათ.“*

ეს მასწავლებელი **ნანა ხეჩიაშვილია**, IX-XII კლასებს ქიმიას ასწავლის, V-VI კლასებს – ბუნებას, ახალ სასწავლო წელს, დირექციის გადაწყვეტილებით 1 საათი ეკოლოგიის გაკვეთილი დაემატა. მისი მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ შემოქმედებით კონფერენციებში, შარშან საერთაშორისო პროექტშიც ჩაერთვნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში წარდგენილი და მოწონებული თემის „ბიომეტალები – სიცოცხლის მეტალები“ წყალობით. *„თემა ჯანსაღი კვების პროდუქტებს შეეხებოდა,* – გვიამბობს ქალბატონი ნანა – *რაც პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობასთან, ამიტომ გამოიწვია ინტერესი. მაშინ სკოლის ეზო არ იყო შემოღობილი და რომ არა ჩვენი თანამშრომლის,* ***ციცი მერაბაშვილის*** *თანადგომა, პროექტი არ შედგებოდა – მან საკუთარ ბოსტანში გამოგვიყო ჩვენთვის საჭირო ადგილი და ასე დავიწყეთ ექსპერიმენტი პომიდორზე. 25 ბავშვი ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა, მოწეული პროდუქტი აგრარული უნივერსიტეტის შესაბამის კათედრაზე მივიტანეთ გამოსაკვლევად, პროფესიონალთა დასკვნების საფუძველზე კი მოსწავლეებმა საკუთარი შრომის შედეგი თვალნათლივ დაინახეს.*

ახლა, როცა ეზო დაცულია, მინდა მთლიანად ავითვისოთ, გავალამაზოთ და სასწავლო პროცესისთვის საჭირო გავხადოთ. ვფიქრობ, დირექციამ უნდა გამოაცხადოს კონკურსი ეზოს განაშენიანებაზე. მეც მაქვს ჩემი მონახაზი. ამის შემდეგ პროფესიონალების მეთვალყურეობით დავიწყებთ მცენარეების დარგვას (ესთეტიკურადაც ხომ ლამაზი უნდა იყოს). ეკოლოგიის გაკვეთილზე (V კლასი) სწორედ მათ მოვლა-პატრონობას და გაფრთხილებას ვასწავლი ბავშვებს, ცალკე უნდა გამოიყოს ექსპერიმენტების ჩასატარებელი ნაკვეთი. წარმოშობით კახელი ვარ და ვიცი, რომ საქართველოში ბევრი საღვინე ჯიშის ყურძენი აღარ გვაქვს. საგურამოში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი რამდენიმე საუკეთესო ჯიში. მინდა, ბავშვებს მოვატანინო სახლებიდან ნერგები და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსულტაციით, პატარა ხეივანი გავაკეთოთ“.

ისტორიის მასწავლებელი **ელგუჯა ცუცქირიძე** მიიჩნევს, რომ სასკოლო რეფორმის გატარება აუცილებელი იყო. ისტორიის სწავლების ახალი მეთოდით კმაყოფილია, რადგან ბავშვები მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს კი არ სწავლობენ, წარმოდგენას იქმნიან ისტორიაზე, როგორც მეცნიერებაზე, ისტორიოგრაფიაზე. შედეგები უკეთესი იქნებოდა, სახელმძღვანელოები რომ უფრო სრულყოფილი იყოს. ალბათ, სამომავლოდ ასეც იქნება.

ჯერ თბილი, მზიანი ამინდებია და სპორტის გაკვეთილები ეზოში ტარდება. ფეხბურთი, ფრენბურთი და ჭიდაობა – ასეთია სკოლის არჩევანი. **ზაქარია ხიზანიშვილი** 30 წლის განმავლობაში ასწავლიდა აქ ფიზკულტურას, ახლა აქცენტი სპორტის სამ სახეობაზე გაკეთდა და ისიც ამ მიმართულებით აგრძელებს ბავშვებთან მუშაობას. როგორც თავად ამბობს ფეხბურთით ვაჟების უმრავლესობაა დაინტერესებული, მაგრამ ამ ბოლო ხანს გოგოებიც სიამოვნებით ვარჯიშობენ მათთან ერთად. თუმცა, შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ამ მოკლე დროში, გოგონების ფრენბურთელთა გუნდმა წარმატებას უკვე მიაღწია – ისინი, რეგიონის მასშტაბით, I ადგილზე გავიდნენ და საქართველოს პირველობაზე V-VI ადგილები აიღეს. ეს შედეგი მათთვის მარტო წარმატება კი არა, სტიმულიცაა სამომავლოდ. ბატონი ზაქარია ამბობს, რომ მიღწეული დიდწილად მცხეთის სპორტსკოლის მწვრთნელის, **ივანე ფარჯიანის** დამსახურებაა, გაკვეთილების შემდეგ იგი სექციურ მუშაობას უძღვება და შეჯიბრებისთვის ბავშვების მომზადებას ხელმძღვანელობს.

ასეთივე წარმატებები აქვთ მოჭიდავეებსაც. სპორტის ეს სახეობა სოფელში ტრადიციულია და შესაბამისად, ინტერესიც დიდია. მასწავლებელი მეცხრეკლასელ **სიმონ ყიფშიძესა** და **რობინზონ ფირანიშვილს** განსაკუთრებულად პერსპექტიულ მოჭიდავეებად მიიჩნევს. ისინი მცხეთის სპორტკლუბის ჭიდაობის სექციაში ვარჯიშობენ და სერიოზული შეჯიბრებებისთვის ემზადებიან.

აი, ასეთია რამდენიმესაათიანი ვიზიტით მიღებული შთაბეჭდილება – უკეთესი სასწავლო გარემო და მეტი მოლოდინი. როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, სოფლის ინტერესების კონცენტრირება სკოლის ირგვლივ მოხდა, ამიტომაც რაიონის გამგეობის ძალისხმევით დაინიშნა ავტობუსი თბილისი-ძეგვი (ნაწილი პედაგოგებისა თბილისიდან და მცხეთიდან დადის), სკოლის ფასადიც შეესაღება, სულ მცირე 10 000 ლარი მაინც იქნება საჭირო, მარტო სკოლას გაუჭირდება მისი შეგროვება. იმედია, რაიონის ხელმძღვანელობა დაუდგება ისევ მხარში და მაშინ, როცა შიდა სამუშაოებიც დასრულდება, ძეგვის საჯარო სკოლა მართლაც გამორჩეული ნაგებობა იქნება სოფელში.

ანა ფირცხალაიშვილი

საქართველოს მშვიდობის კორპუსი

იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, უკვე თერთმეტი წელია, საქართველოს რეგიონებში წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს. კონკურსში შერჩეულ სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ: იმუშაონ ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან **2012-2014 სასწავლო წლების** განმავლობაში, ერთობლივი მუშაობის შედეგად აამაღლონ ინგლისური ენის სწავლების დონე, დანერგონ ახალი სასწავლო მეთოდოლოგია. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სკოლებს, რომლებშიც ინგლისური ისწავლება უცხო ენად კვირაში **მინიმუმ 18 საათი**.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში:

მცხეთა-მთიანეთი
კახეთი
ქვემო ქართლი
სამცხე-ჯავახეთი
გურია
აჭარა
იმერეთი (საჩხერის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ქალაქი საჩხერე)
სამეგრელო (აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტები)
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ცაგერის მუნიციპალიტეტი

თუ თქვენი სკოლა ზემოთ აღნიშნულ რეგიონშია და დაინტერესებულია მოხალისესთან თანამშრომლობით 2012-2014 აკადემიურ წლებში:

1. გაეცანით საინფორმაციო ბროშურას (გამოიყენეთ გზამკვლევის სახით და დაიტოვეთ სკოლაში)
2. სრულად შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე)
3. შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმა მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ᵃ, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

შესავსები მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **17 ოქტომბერი, 2011 წელი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს:

ასმათ სიხარულიძე
ტელ: (8 32) 224 12 24
ფაქსი: (8 32) 239 91 06
ელფოსტა:
asikharulidze@peacecorps.gov

თეო ნეფარიძე
ტელ: (8 32) 224 12 24
ფაქსი: (8 32) 239 91 06
ელფოსტა:
tneparidze@peacecorps.gov

თბილისის 144-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ცეცილია იაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სიახლე!

„ახალი განათლების“ რეფორმა სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატურ პლაკატებს, რეპროდუქციებსა და ქართველ მწერალთა პორტრეტებს

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს სამეფო დინასტია
13. ძველი რომი
14. მსოფლიოს დროშები
15. ზღვის დინებები
16. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. სამყაროს წარმოშობა
18. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები

1. ექვთიმე თაყაიშვილი
2. მიხეილ ჯავახიშვილი
3. გიორგი ლეონიძე
4. ტერენტი გრანელი
5. ნიკო ლორთქიფანიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. ირაკლი აბაშიძე
8. ლადო ასათიანი
9. ნოდარ დუმბაძე
10. მირზა გელოვანი
11. აკაკი ბაქრაძე
12. ვასილ ბარნოვი
13. პაოლო იაშვილი
14. ტიციან ტაბიძე
15. სულხან-საბა ორბელიანი
16. ნიკოლოზ ბარათაშვილი
17. იოსებ გრიშაშვილი
18. პოლიკარპე კაკაბაძე
19. გურამ რჩეულიშვილი
20. იაკობ ხუციესი
21. იოანე საბანისძე
22. კონსტანტინე გამსახურდია
23. დავით გურამიშვილი
24. ბესიკი
25. მურმან ლებანიძე
26. რევაზ ინანიშვილი
27. ალექსანდრე ყაზბეგი
28. ალექსანდრე ჭავჭავაძე
29. იაკობ გოგებაშვილი
30. დავით კლდიაშვილი
31. აკაკი წერეთელი
32. რუსთაველი
33. ვაჟა-ფშაველა
34. თეიმურაზ I
35. ვახტანგ VI
36. გიორგი მერჩულე
37. ილია ჭავჭავაძე
38. გრიგოლ ორბელიანი

ფასი 4 ლარი

ხელოვნების კაბინეტისთვის რეპროდუქციები

1. ცისფერი ბალერინები - დეგა 1897
2. იმპრესიონისტების სურათები 10 დასახელება
3. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი 1784
4. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
5. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
6. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი 1634
7. მენინები - ველასკესი 1650
8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო 1509
9. მხატვრის ბაღი -კლოდ მონე 1880
10. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი 1669
11. საქანელა - რენუარი 1876
12. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა 1884

ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ГЗАМКВЛЕВИ МАСЛЕВЛЕБЛИСТВИС

5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებები

წელს, საქართველოს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, სწავლის დაწყების მინიმალურ ასაკად 5 წელი გამოცხადდა და მშობლებს, ბავშვის განვითარების მახასიათებლებისა და საკუთარი სურვილის გათვალისწინებით, შეუძლიათ 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა. ბუნებრივია, გაჩნდა იმის საჭიროება, რომ პედაგოგები ფლობდნენ ინფორმაციას – ცოდნას ხუთწლიანთა ასაკობრივი თავისებურებებისა და კანონზომიერების, იმ ძირითადი სირთულეებისა და საშუალებების შესახებ, რომელიც პირველკლასელთა სკოლასთან ადაპტაციისათვისაა საჭირო. ამ საშუალებების გამოყენებით კი, პატარები უმტკივნეულოდ და უფრო იოლად შეეგუებიან ახალ სისტემურ გარემოს. ამ მიმართულებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ახორციელებს არაერთ ღონისძიებას. ცენტრის მიერ, საქართველოს მასშტაბით, უკვე გადამზადდა დაწყებითი საფეხურის 1900 პედაგოგი. ამ სიახლესთან დაკავშირებით ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრში შეიქმნა პირველი კლასის პედაგოგთა გზამკვლევი – „5 წლის ასაკის ბავშვების სწავლა-სწავლების თავისებურებები“, რომლის პრეზენტაცია 21 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველი კლასების დამრიგებლებთან შეხვედრაზე მოაწყვეს.

ნათია ჯოხაძე: *„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წელს პირველ კლასებში იქნებიან როგორც 5 წლის ასაკის, ასევე 6 წლის ასაკის ბავშვები. სახელმძღვანელოც, შესაბამისად, ამ ასაკის ბავშვის სწავლების თანამედროვე მეთოდიკას ეფუძნება, თუ როგორ განვუვითაროთ ბავშვებს ის კონკრეტული უნარ-ჩვევები და მივცეთ ცოდნა, რაც სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული. დღეს ჩვენ ვხვდებით თბილისის, მცხეთისა და რუსთავის სკოლების პირველკლასელთა დამრიგებლებს, მსგავს შეხვედრებს მთელი წლის განმავლობაში გავაგრძელებთ, საქართველოს მასშტაბით.“*

გზამკვლევის მიზანია, დაეხმაროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს სწავლების პროცესის სწორად და ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში. გზამკვლევში მოცემულია ვრცელი რეკომენდაციები, როგორი გარემო შეუქმნან პატარებს სწავლების პირველ წელს, განსაკუთრებით – პირველ თვეებში. ყურადღება გამახვილებულია სწავლების პროცესში ინდივიდუალურ მიდგომებზე, აქტივობებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებზე. სახელმძღვანელო ხუთი თავისაგან შედგება.

პირველ თავში განხილულია 5 წლის ასაკის ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი და ფსიქოსოციალური სფეროს განვითარების თავისებურებები და კანონზომიერებები. დიდი ყურადღება ეთმობა თამაშის როლს ბავშვის განვითარების პროცესში.

მეორე თავში აღწერილია სკოლისადმი, ახალი სისტემური გარემოსადმი ადაპტაციის სირთულეები და მათი დაძლევის მექანიზმები. სახელმძღვანელოში მრავლად არის პრაქტიკული რეკომენდაციები პედაგოგებისათვის – რა პირობები, გარემო უნდა შეუქმნან პატარებს სწავლების პირველ წელს, განსაკუთრებით – პირველ თვეებში.

მესამე თავი ეთმობა სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობას, ვინაიდან სასკოლო სწავლების დაწყებისას ნათლად ჩანს მოსწავლეთა შორის განსხვავება ფიზიკური, გონებრივი და სოციალური სიმწიფის კუთხით.

მეოთხე თავი ხუთწლიანთა სწავლების ეფექტურ მეთოდებსა და პედაგოგიურ რეკომენდაციებს ეთმობა.

მეხუთე თავში კი, აქტივობები და პრაქტიკული სავარჯიშოებია მოცემული. წარმოდგენილი აქტივობები ხელს შეუწყობს კონკრეტული უნარების განვითარებას, ასევე, სასწავლო პროცესის ხალისიანად და უმტკივნეულოდ წარმართვას. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია, აგრეთვე, მოძრავი აქტივობები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია გაკვეთილზე, მოძრავი პაუზების დროს.

შეხვედრაზე ცენტრის დაწყებითი განათლების ექსპერტმა, ფსიქოლოგმა **ნინო ლაბარტყავამ** ვრცლად ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის ხუთწლიანთა ასაკობრივი თავისებურებებისა და კანონზომიერებების, პირველკლასელთა სკოლასთან ადაპტაციის იმ საშუალებების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც პატარები ადვილად შეეგუებიან მათთვის ახალ გარემოს.

გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას გზამკვლევის პრეზენტაციის შესახებ, რომელიც *5 ძირითად საკითხს მოიცავს*: 5 წლის ასაკის ბავშვის ფიზიკური განვითარების თავისებურებები; ასაკობრივ თავისებურებებზე დაყრდნობით პედაგოგიური რეკომენდაციები; 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები; რეკომენდაციები დღის განრიგის შედგენისა და სასწავლო გეგმის ორგანიზებისათვის; რეკომენდაციები შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.



5 წლის ასაკის ბავშვის ფიზიკური განვითარება

– 5 წლის ასაკის ბავშვის ორგანიზმი, ორგანოები და ფიზიოლოგიური პროცესები სწრაფად ვითარდება, თუმცა, ორგანიზმის დაცვითი თვისებები სუსტად არის გამოვლენილი. ამის გამო, გარემოს არახელსაყრელი პირობები ძალიან იოლად მოქმედებს მასზე;

– 5 წლის ასაკის ბავშვს კარგად აქვს განვითარებული მსხვილი მოტორული უნარები;

– ნატიფი მოტორული უნარები კი, შედარებით სუსტად არის განვითარებული (მათ ჯერ უჭირთ წერა, ჩანგლის ხმარება).

5 წლის ასაკის ბავშვის შემეცნებითი განვითარება

აღქმა

– 5 წლის ასაკის ბავშვის აღქმა თანდათანობით უფრო სრულყოფილი ხდება;

– 5 წლის ასაკის ბავშვის აღქმა მაინც არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვს ხანდახან ეშლება მსგავსი მოხაზულობის ასოები და ციფრები (6–9; შ–ნ).

ყურადღება

– 5 წლის ასაკის ბავშვისთვის ტიპურია უშუალო ინტერესით, ემოციით წარმართული ყურადღება;

– თუმცა, 5 წლის ასაკში იწყება ნებისმიერი ყურადღების განვითარება (ყურადღების სახე, როდესაც ყურადღება წარიმართება განზრახვის ან გადაწყვეტილების საფუძველზე);

– ყურადღების სიმტკიცე – 5 წლის ასაკის ბავშვს ყურადღების ხანგრძლივი წარმართვა ერთი და იმავე მიმართულებით, ერთი და იმავე ობიექტზე შეუძლია 15-20 წუთის განმავლობაში;

– ყურადღების მოცულობა – 5 წლის ასაკის ბავშვს ერთდროულად, დროის ერთ მონაკვეთში, ყურადღების შეჩერება შეუძლია 2-3 ერთეულზე.

მეხსიერება

– 5 წლის ასაკის ბავშვების მეხსიერება თვალსაჩინო – ხატოვანია, ამიტომ უკეთ იმახსოვრებს თვალსაჩინო ობიექტებს;

– 5 წლიდან უკვე ვითარდება ნებისმიერი მეხსიერება (მეხსიერების აქტიური ფორმა, როდესაც ადამიანი განზრახ დაიმახსოვრებს ან მოიგონებს რაიმეს). თუმცა, მიზანმიმართული დამახსოვრება და აღდგენა მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და, ძირითადად, თამაშსა და სხვა აქტივობებში ვლინდება, მაგალითად, უფროსის დავალების შესრულებაში;

– ვინაიდან თამაში 5 წლის ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმაა, ბავშვს უფრო იოლად შეუძლია დაიმახსოვროს მისთვის რთული მასალა თამაშის პროცესში, ვიდრე ხანგრძლივი, მრავალსაათიანი მეცადინეობით.

აზროვნება

ჟ. პიაჟეს მიხედვით, 5 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების არსებითი მახასიათებლებია:

– თვალსაჩინოება;
– კონკრეტულობა;
– შეუქცევადობა;
– ეგოცენტრიზმი;
– ცენტრირება საგნის ერთ ნიშანზე;
– კლასიფიკაციის სირთულეები;
– „მუდმივობის“ ვერ წვდომა.

მეტყველება

– ამ ასაკიდან იწყება შინაგანი მეტყველების განვითარებაც. შინაგანი მეტყველება, ეს არის მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვითრეგულაციას;

– ბავშვის მეტყველების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების განვითარებასთან;

– ბავშვი მარტივი წინადადებებიდან გადადის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებაზე. წინადადებების ფორმულირებისას ბავშვი იყენებს კავშირებს – იმიტომ რომ, თუ, იმისთვის და ა.შ.;

– ბავშვებს უჭირთ მეტყველების, როგორც საგნის, ანალიზი. ბავშვი, რომელიც პრაქტიკულად დაუფლებულია მეტყველებას, განიცდის სირთულეს სიტყვაში ბგერითი კომპონენტების გამოყოფაში. ამავე დროს, უჭირთ მსგავსი ჟღერადობის სიტყვების და სიტყვათა შეთანხმების აზრის გაგება. მაგალითად, მასწავლებლის შვილი და შვილის მასწავლებელი.

ფანტაზია

– 5 წლის ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია ფანტაზიის აქტიური ფორმა, როცა ფანტაზიის პროცესი ხდება ნებისმიერი (შესაძლებელი ხდება ფანტაზიის მართვა), თავდაპირველად ფანტაზიის აქტიური ფორმის განვითარებას ბიძგს აძლევენ უფროსები. მაგალითად, როცა უფროსი სთხოვს ბავშვს დახატოს ხე ან ააწყოს კუბებიდან სახლი.

ფანტაზია ასრულებს 2 ფუნქციას: შემეცნებით-ინტელექტუალურს და დაცვითს.

– შემეცნებით-ინტელექტუალური ფუნქცია დაკავშირებულია გარემოზე ახალი ინფორმაციის მიღებასა და პრაქტიკული ჩვევების ფორმირებასთან;

– ფანტაზიის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ წარმოსახულ სიტუაციაში შეიძლება მოხდეს დაძაბულობის მოხსნა და კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა, რომლის რეალურ ცხოვრებაში გადაწყვეტაც ბავშვს ჯერ არ შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ფანტაზია ამ ასაკში აღწევს ისეთ მაღალ დონეს, რომ ბავშვმა შეიძლება „იცხოვროს“ მის მიერ გამოგონილ სამყაროში, ჰყავდეს წარმოსახვითი მეგობარი.

5 წლის ასაკის ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარება

მოტივები

5 წლის ბავშვისთვის სწავლისას წამყვანია:

– თამაშის მოტივი – ბავშვის აქტივობის საფუძველია თამაში და ამ აქტივობის შედეგად მიღებული სიამოვნება. ბავშვი კარგად სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა მეცადინეობა ტარდება თამაშის სახით;

– პოზიციური მოტივი – ბავშვს აქვს სურვილი დაიკავოს ახალი (მოსწავლის) პოზიცია, დაიმახსოროს უფროსების შექება. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი კარგად სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა გაკვეთილზე არის ბევრი სასწავლო ატრიბუტიკა, დამხმარე საშუალებები;

– შეფასებითი მოტივი – ბავშვის მიზანია მიიღოს პოზიტიური შეფასება, ამ მოტივის დომინირების შემთხვევაში, ბავშვი კარგად სწავლობს მაშინ, როცა მას აქებენ.

5 წლის ასაკის ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარება – მე-კონცეფცია და თვითშეფასება

– 5 წლის ასაკის ბავშვები საკუთარ თავს ახასიათებენ ფიზიკური ნიშნების („მე ლურჯი თვალები მაქვს“), მათ კუთვნილებაში მქონე საგნების („მე ბურთი მაქვს“) და საქმიანობის („მე ფეხბურთს ვთამაშობ“) მიხედვით;

– ბავშვი თავის თავს აფასებს ისე, როგორც მას აფასებენ სხვები – ოჯახის წევრები, მასწავლებლები, თანატოლები;

– 5 წლის ასაკის ბავშვის თვითშეფასება, როგორც წესი, გადაჭარბებულია.

რეკომენდაციები პედაგოგებს

– რაციონალურად უნდა იყოს განაწილებული დრო მეცადინეობისა და დასვენებისთვის. დღის განმავლობაში გამოყენებული უნდა იქნეს ფიზიკური ვარჯიშები (მოძრავი პაუზები);

– 5-წლიანთა სწავლებისას განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ნატიფი მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს;

– 5-წლიანთა სწავლებისას მასწავლებელმა უნდა განუვითაროს მათ, შესასწავლი ობიექტის დაკვირვებით, გარკვეული თანმიმდევრობით დათვალიერების ჩვევა, აპოვნინოს სხვადასხვა დეტალი, ააწყობინოს ნაწილებიდან მთელი და ა.შ.;

→

გზამკვლევი მაწავლებლისთვის

– მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ყურადღების ორგანიზებაში რაიმე საქმიანობაში ჩართვით, გარეგანი დამხმარე საშუალებებით, არავერბალური მინიშნებით, წახალისებით;

– ვინაიდან 5 წლის ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმა თამაშია, მას თამაშის პროცესში უფრო იოლად შეუძლია დაიმახსოვროს მისთვის რთული მასალა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მას ისწავლოს გამეორების დროში განაწილება, გამეორების მრავალფეროვნება (ხმამაღლა, ჩურჩულით, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით და ასევე შინაგან ჭრილში (გონებაში), გარეგანი გამოვლინებების გარეშე), ობიექტების დაჯგუფება და აზრობრივი მიმართების დამყარება;

– სხვადასხვა ამოცანა, პრობლემა 5-წლიანებმა უნდა გადაჭრან ჯერ მოქმედებით ჭრილში საგნებზე მანიპულაციით და შემდეგ თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით;

– დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სიტყვების ფონოლოგიურ ანალიზს;

– გაკვეთილზე უნდა გამოვიყენოთ დიდაქტიკური თამაშობანი;

– ბავშვს უნდა მიეცეს მისი შესაძლებლობების ადეკვატური დავალება;

– ბავშვი უნდა შეაქოთ მაშინ, როცა ის ამას იმსახურებს;

– ხელი უნდა შეუწყოთ ბავშვის ინიციატივის გამოვლენას;

– არ შეადაროთ ბავშვი სხვა ბავშვებს, შეადარეთ მხოლოდ საკუთარ თავს (რა შეეძლო გუშინ, რა შეუძლია დღეს და რას შეძლებს ხვალ).

5-წლიანთა სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები

– სწავლება უნდა ეფუძნებოდეს როგორც განვითარების ასაკობრივ კანონზომიერებებს, ასევე ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს;

– ერთი და იმავე ასაკობრივ ჯგუფში (მეტრიკული ასაკი) არიან ბავშვები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბიოლოგიური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების მახასიათებლებით;

– მაგალითად, 5-წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში (მეტრიკული ასაკი) აუცილებლად მოიძებნებიან ბავშვები, რომლებიც თავისი ფსიქოლოგიური განვითარებით არიან 6 წლის ასაკის ბავშვის დონეზე და პირიქით, 6-წლიანთა ასაკობრივ კატეგორიაში აუცილებლად მოიძებნებიან ბავშვები, რომლებიც კოგნიტური და პიროვნული განვითარებით 5 წლის ასაკში არიან.

5-წლიანების სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვების შემეცნებითი პროცესების თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია თავის ტვინის ჰემისფეროების ფუნქციონირების თავისებურებებით. მარჯვენა ჰემისფერო მართავს სხეულის მარცხენა მხარეს, მარცხენა ჰემისფერო კი – მარჯვენას.

გამოიყოფა თავის ტვინის ჰემისფეროების ფუნქციონირების 3 ტიპი:

– დომინანტურია მარცხენა ჰემისფერო, რომელიც პასუხისმგებელია ლოგიკურ და ვერბალურ აზროვნებაზე, აბსტრაგირებაზე, განზოგადებაზე, წერაზე, კითხვაზე, ზეპირმეტყველებაზე;

– დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო, რომელიც პასუხისმგებელია თვალსაჩინო – ხატოვან აზროვნებაზე, ფანტაზიაზე, შემოქმედებით აზროვნებაზე;

– არ არის მკვეთრად გამოხატული რომელიმე ჰემისფეროს დომინირება;

– თავის ტვინის ჰემისფეროების ასიმეტრია განაპირობებს აღქმის, დამახსოვრების, აზროვნების, ემოციური სფეროს თავისებურებებს;

– მარჯვენა ჰემისფეროს მომწიფება უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბავშვებთან, 9-10 წლის ასაკამდე, დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სწავლებისას არ უნდა მოხდეს მარცხენა ჰემისფეროს გადატვირთვა. ეს მიგვიყვანს ქრონიკულ ინტელექტუალურ სტრესთან. ხშირად ბავშვებში ნევროზის აღმოცენებას განაპირობებს სწავლების პროცესში „მარცხენა ჰემისფეროს“ გადატვირთვა. თუ ბავშვის მეტყველება არ არის გამართული (კარგად ვერ გამოთქვამს ბგერებს), ე.ი. დომინანტურია მარჯვენა ჰემისფერო, ამიტომ სწავლების პროცესში მარცხენა ჰემისფეროს გადატვირთვამ შეიძლება გამოიწვიოს მეტყველების დარღვევა.

ამიტომ მნიშვნელოვანია როგორც 5-წლიანებთან, ასევე 6-წლიანებთან ინტელექტუალური აქტივობის ჩანაცვლება:

– დიდაქტიკური და როლური თამაშებით;

– სიმღერით;

– ხატვით;

– ფიზიკური აქტივობით.

სწავლების მეთოდები

5 წლის ასაკის ბავშვთან უნდა გამოვიყენოთ სწავლების შემდეგი მეთოდები:

– პრაქტიკული (დიდაქტიკური თამაში, სავარჯიშო, ცდა, ექსკურსია);

– თვალსაჩინო (ილუსტრაცია, დემონსტრაცია, დაკვირვება, ვიდეომეთოდი, კომპიუტერული თამაშები);

– ვერბალური (ახსნა, განმარტება, თხრობა, დიალოგი, ინსტრუქტაჟი, გონებრივი იერიში);

– წიგნზე მუშაობა (კითხვა, დათვალიერება, გადმოცემა);

– დიდაქტიკური თამაში სწავლების აქტიური ფორმაა, რომელიც თამაშის სახით მიმდინარეობს. დიდაქტიკური თამაში არის კოლექტიური, მიზანმიმართული საქმიანობა, რომლის დროსაც ყველა მონაწილე გაერთიანებულია კონკრეტული ამოცანის გადაჭრისა თუ გამარჯვებისკენ. დიდაქტიკურ თამაშში მონაწილეთა მოქმედება ფორმალიზებულია, თამაშს აქვს თავისი წესები, შეფასების სისტემა, მოქმედებათა თანამიმდევრობა და რეგლამენტი. დიდაქტიკურ თამაშებში ხდება რეალური სიტუაციის მოდელირება, საიდანაც ბავშვმა გამოსავალი უნდა იპოვოს. აუცილებელია, რომ მასწავლებელი იყოს თამაშის თანამონაწილე.

დიდაქტიკური თამაშის სახეებია:

– საგნობრივი თამაშები – თამაშები დიდაქტიკური სათამაშოთი, მოზაიკით. სხვადასხვა ბუნებრივი მასალის გამოყენებით;

– მაგიდის თამაშები – კუბებით ნახატის აწყობა, პაზლი, ლოტო, ნახატების წყვილი, სადაც უნდა მოიძებნოს მსგავსება და განსხვავება ნახატებს შორის;

– ვერბალური თამაშები – შარადები, გამოცანები, რებუსები, კროსვორდები, ვიქტორინები, ენის გასატეხი.

რატომ თამაში?

თამაში ავითარებს:

– სწავლის უნარს;

– შემოქმედობითობას და ფანტაზიას;

– სხვა ბავშვებისა და ადამიანებისადმი სიყვარულსა და კეთილგანწყობას;

– იწვევს სიხარულის ემოციას, რაც აუცილებელია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის;

– აყალიბებს ბაზისურ ნდობას გარე სამყაროს მიმართ.

სწავლების ორგანიზება

სწავლების პროცესში უნდა განხორციელდეს ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. შეიძლება გამოვიყენოთ:

– მთელ კლასთან მუშაობა;

– ჯგუფური მუშაობა;

– მუშაობა წყვილებში;

– ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა;

– ახალი სასწავლო მასალა უნდა მიეწოდოს მთელ კლასს, სადაც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ახსნის (თხრობის) სხვადასხვა დონე – თავდაპირველად მასწავლებელი ახსნის მასალას მარტივად, შემდეგ კი უფრო რთულად;

– ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება შეიძლება დამოუკიდებელი მუშაობის დროს, სხვადასხვა მოცულობის დავალების მიცემით;

– დავალების მიცემის დროს შეიძლება ბავშვების გაერთიანება ჯგუფში სხვადასხვა ნიშნით;

– ჯგუფები შეიძლება დაკომპლექტდეს თანაბარი ფსიქიკური განვითარების მახასიათებლების ბავშვებით (5-წლიანები და 6-წლიანები). შესაბამისად, 6 წლის ბავშვების ჯგუფს მიეცემა უფრო მეტი დავალება, 5 წლისას კი – შედარებით ნაკლები. დავალების შესრულების შემდეგ უნდა მოხდეს შესრულებული სამუშაოს ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს დაბალი მომზადების ბავშვებს, გაეცნონ უფრო რთული ამოცანის გადაწყვეტას;

– ჯგუფი აგრეთვე შეიძლება დაკომპლექტდეს განსხვავებული ფსიქიკური განვითარების მახასიათებლების ბავშვებითაც (მაგალითად, 5-წლიანები და 6-წლიანები ერთად), ეს დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ დასმულ მიზანზე.

რეკომენდაციები პედაგოგებს

– სასკოლო გარემოში მნიშვნელოვანია წესების არსებობა, მაგრამ სკოლის წესების დაცვის მოთხოვნა თანდათანობით უნდა იქნეს შემოტანილი. წესების შემოტანისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კლასში მოქცევის წესი თავდაპირველად უნდა იყოს 2-3, რომლის დაცვაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;

– ინსტრუქცია უნდა იყოს მოკლე და გასაგები. მაგ., „როდესაც ერთი ლაპარაკობს, დანარჩენები უსმენენ“. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არის სასურველი წესების ფორმულირებისას წინადადების დაწყება უარყოფითი ფორმით (მაგ., „არ დახიო წიგნები“, „ნუ შეუშლი ხელს“). უმჯობესია წესი ჩამოვაყალიბოთ პოზიტიური ფორმით: „გავუფრთხილდეთ წიგნებს“ ან „დავიცვათ წესრიგი“. მასწავლებელს ხშირად დასჭირდება ამ წესების შეხსენება, მაგრამ როდესაც ბავშვები მიეჩვევიან მეტ-ნაკლები წარმატებით მათ შესრულებას, შეიძლება კიდევ 1-2 წესის დამატება და შემდეგ მათ მიმართ ჩვევის შემუშავებაზე მუშაობა. ეს გაუადვილებს პატარებს სასკოლო და საგაკვეთილო რეჟიმთან თანდათანობით შეგუებას. სასურველია, მოვიყვანოთ საჭირო ქცევის მაგალითები (შეიძლება წავუკითხოთ მოთხრობა, ზღაპარი). შეიძლება ვთხოვოთ, რომ გაიმეოროს მასწავლებლის ნათქვამი – „აბა, რა წესი უნდა დავიცვათ?“;

– სასურველია, პირველი დღეებიდანვე მოსწავლეებს არ მიეცეთ საშინაო დავალება (განსაკუთრებით – საადაპტაციო პერიოდში). მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვანია კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მისი საქმიანობა სკოლაში ღირებულია და მნიშვნელოვანი მისი ოჯახისთვისაც. შეიძლება ბავშვს დავავალოთ, მოუთხროს მშობლებს და ოჯახის წევრებს, რა ისწავლა დღეს ახალი; რა იყო მისთვის განსაკუთრებით საინტერესო; ოჯახის წევრებთან ერთად დახატოს ან გამოძერწოს, რაც უნდა და მოიტანოს სკოლაში და ა.შ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უშუალოდ სასწავლო დავალებას არ წარმოადგენს, მაგრამ უდავოდ შეუწყობს ხელს დავალების დამახსოვრებისა და შესრულების უნარის თანდათანობით განვითარებას. სასწავლო საქმიანობის დაკავშირება ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებასთან ზრდის მის თვითშეფასებას და აძლიერებს სწავლის მოტივაციას.

დღის რეჟიმი

– გაკვეთილის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 35 წუთს. ყურადღება უნდა მიექცეს გაკვეთილის სტრუქტურას. ის უნდა შედგებოდეს სხვადასხვა აქტივობებისაგან (სასურველია, მათ ჰქონდეთ საერთო თემა). 10-15 წუთიანი სასწავლო აქტივობის შემდეგ ბავშვს უნდა შევთავაზოთ სხვა სახის აქტივობა (განმავითარებელი სავარჯიშოები, მოტორული თამაშები). 5 წლის ბავშვის სკოლისადმი ადაპტაციის გასაიოლებლად, სასურველია, სასწავლო დატვირთვა თანდათანობით გაიზარდოს. სექტემბერ-ოქტომბერში, სასურველია, ჩატარდეს დღეში მხოლოდ 3 „ტრადიციული“ გაკვეთილი. დანარჩენი გაკვეთილები კი, სასურველია, წარიმართოს განმავითარებელი თამაშებით, გასეირნებით, ექსკურსიით, სპორტული მეცადინეობით. ადაპტაციური პერიოდის გავლის შემდეგ დღეში შეიძლება ჩატარდეს 4-5 გაკვეთილი;

– სასურველია, ყოველი გაკვეთილის განმავლობაში ასეთი სახის ჩართვას 2-ჯერ ჰქონდეს ადგილი.

სასწავლო გარემო

– საკლასო ოთახის კედლებზე, სასურველია, გაკრული იყოს ბავშვების მიერ სწავლების პროცესში შექმნილი ნახატები, კოლაჟები, პოსტერები, ფერადი ასოები ან ციფრები, დღის სამუშაო განრიგი, კლასში მოქცევის წესები და სხვ.;

– სასურველია, გამოყოფილი იყოს ადგილი ბავშვის პირადი ნივთების შესანახად (უჯრა, ყუთი, კედელზე ჩამოკიდებული ჯიბე) შესაბამისი წარწერებით ან ბავშვის ფოტოთი (რომ ადვილად შეძლოს ცნობა);

– პატარებს ზოგჯერ სჭირდებათ განმარტოვება და მათ უნდა ჰქონდეთ ამის საშუალება. მაგალითად „წიგნების კუთხე“, სადაც იქნება თაროები ბავშვების საყვარელი ან მათ მიერ შექმნილი წიგნებით, ხალიჩა, სადაც შეძლებენ მყუდროდ იგრძნონ თავი, გადაათვალიერონ წიგნები, დაფიქრდნენ და სხვ. ასევე უნდა იყოს თაროები ბავშვებისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე, სადაც განთავსდება წიგნები, სამუშაო მასალები, ბავშვების მიერ შესრულებული ნამუშევრები. თუ კლასში არის „პალტოების საკიდი“, ისიც უნდა იყოს ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე და იმ სიმაღლზე, რომ პატარებმა თვითონ შეძლონ მათი ჩამოკიდება.

შეფასება

– 5-წლიანებთან არ უნდა გამოვიყენოთ ცოდნის შეფასების სხვადასხვა შეფასებითი სიმბოლოები, როგორიცაა – ვარსკვლავი, მზე, სტიკერი და ა.შ. ვინაიდან ეს სიმბოლოები იღებს „ნიშნის“ ფუნქციას და ბავშვს უყალიბდება შეფასებითი სიმბოლოს მიმართ იგივე დამოკიდებულება, რაც „ნიშნის“ მიმართ. ამასთანავე, შეფასებითი სიმბოლოები არ იძლევა ინფორმაციას სწავლის პროცესში მიღწეულ წარმატებებზე. კითხვა – „რა მიიღე?“ უნდა შეიცვალოს კითხვით – „რა ისწავლე?“ მაგრამ, ვინაიდან ბავშვებს ძალიან უყვართ მათი მიღწევების თუ აქტივობის აღიარება, „ვარსკვლავები“ და „გაცინებული კაცუნები“ შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ბავშვის მონდომების/მცდელობის აღნიშვნის მიზნით და არა „საუკეთესო შედეგის“ ან ცოდნის შესაფასებლად.

გახსოვდეთ! უნდა აღინიშნოს ბავშვის მონდომება და მცდელობა და არა „საუკეთესო შედეგი“ ან ცოდნა

მოსწავლეთა შესაფასებლად უმჯობესია გამოვიყენოთ:

– ინდივიდუალური ბარათები – სადაც ჩაიწერება ის უნარები, რომელიც ბავშვმა უკვე აითვისა. მაგალითად, დამარცვლით კითხვა, მიმატება, გამოკლება და ა.შ.;

– მიღწევის ალბომი – სადაც გამოყოფილი იქნება სხვადასხვა თემა. მაგალითად, „მათემატიკური სირთულეები, რომლებიც დავძლიე“, „კითხვის სირთულეები, რომლებიც დავძლიე“, „წიგნები, რომლებიც წავიკითხე“, „ჩემი საუკეთესო ნახატები“ და ა.შ. ბავშვებმა არ უნდა შეადარონ ერთმანეთის მიღწევის ალბომები. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს მათი პირადი მიღწევებია და არანაირი კავშირი არა აქვს სხვა ბავშვის მიღწევებთან;

– „პორტფოლიო“ – ბავშვის ნამუშევრების შეგროვება საუკეთესო მეთოდია, რათა ნათლად დავინახოთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვმა რამდენი ახალი რამ ისწავლა, როგორი ტემპით მიდის ამა თუ იმ უნარის განვითარება და სხვ.

* * *

შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა მოწვეულმა პედაგოგებმა. მათთვის ყველა საინტერესო შეკითხვას ექსპერტმა უპასუხა.

ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ, საქართველოს მასშტაბით, 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებების თემაზე ტრენინგები მომავალშიც გაგრძელდება.

მოამზადა ***ლალი ჯელაძემ***

ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი

2011-12 სასწავლო წლების სიახლეები

გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დირექტორი ნათია ჯოხაძე

ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი ახალ სასწავლო წელს ბევრი სიახლით შეხვდა – უკვე მზად არის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მისი ეფექტურად დანერგვის მიზნით; ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი თუ პროგრამა...

შევეცდები, ყველა სიახლეზე ვისაუბრო:

2011-2012 სასწავლო წელს ძალაში შევიდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებით საფეხურზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მოსწავლეებს I-VI კლასებში ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები აქვთ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ჩვენს ცენტრთან ერთად, ჩაატარა სახელმძღვანელოების გრიფირების საკმაოდ მკაცრი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმები, დაწესდა მაღალი ქულობრივი ბარიერი, რომელიც, ბუნებრივია, ყველა სახელმძღვანელომ ვერ გადალახა. თითოეული სახელმძღვანელო შვიდმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა შეაფასა. საბოლოოდ, ჩემი აზრით, საუკეთესოები შეირჩა.

შარშან პილოტირების რეჟიმში, წელს კი ყველა მოსწავლისთვის ინგლისური ენა სავალდებულო გახდა პირველივე კლასიდან, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა.

ასევე შარშან პილოტურ რეჟიმში იყო და წელს ყველა სკოლა V კლასიდან იწყებს „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“, როგორც დამოუკიდებელი საგნის, სწავლებას.

XI კლასში სავალდებულო საგნებს დაემატა ახალი საგანი „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“. მომზადდა სახელმძღვანელო, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება და მოიცავს ყველა იმ ძირეულ საკითხს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს სრულყოფილად აითვისოს საგზაო მოძრაობის წესები და უსაფრთხოების საკითხები.

ძალიან მიხარია და, ამასთანავე, სრულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ იმასთან დაკავშირებით, რომ „მსოფლიო კულტურა“, როგორც არჩევითი საგანი, ახალ სასწავლო წელს 500-ზე მეტმა სკოლამ აირჩია, რაც ჩვენი სკოლების საერთო რაოდენობის, დაახლოებით, 25%-ია. ახალი საგნისთვის ეს წარმატებული მაჩვენებელია, ამასთანავე, ეს ცენტრისთვის უდიდესი პასუხისმგებლობაც არის.

„მსოფლიო კულტურა“ შარშან მთელი წლის განმავლობაში გადიოდა პილოტირებას, საპილოტე მასალა განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე და ყველას შეუძლია გაეცნოს, გადაწეროს და ამის მიხედვით ასწავლოს. იმედი მაქვს, ახალი საგანი დაინტერესებს მოსწავლეებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად მომზადებული იქნება პედაგოგი ახალი საგნისთვის. მოგეხსენებათ, „მსოფლიო კულტურა“, როგორც საგანი, ადრე არ ისწავლებოდა, აქედან გამომდინარე, არც ამ საგნის პედაგოგები გვყოლია. ცენტრს უკვე გაწერილი აქვს „მსოფლიო კულტურის“ პედაგოგთა ტრენინგების გრაფიკი. გადავამზადებთ ყველა პედაგოგს, ვინც ეს საგანი უნდა ასწავლოს.

ეს, რაც შეეხება იმ ძირითად ახალ საგნებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განისაზღვრა და შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოები.

გარდა ამისა, სამინისტრომ, პრეზიდენტის ინიციატივით, დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომლის ერთ-ერთი ნაწილია პირველი დონის ქართული ენის სახელმძღვანელოებზე მუშაობა ეთნიკური უმცირესობებისთვის. ეს სახელმძღვანელო უკვე მზად არის. სახელმწიფო ამ სახელმძღვანელოებს იმ სკოლებში არიგებს, სადაც ეთნიკური უმცირესობები სწავლობენ მათ მშობლიურ ენებზე. სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენს ცენტრში შემუშავდა, რამდენიმე ნაწილისგან შემდგარი კომპლექტია – მოსწავლის სახელმძღვანელო და მოსწავლის სამუშაო რვეული; მასწავლებლის სახელმძღვანელო; აუდიომასალა – CD-ზე ჩაწერილი, რაც მოსმენისა და საუბრის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება მოსწავლეს; სპეციალური კომპიუტერული თამაში, რომელიც პატარებს ენის ხალისითა და თამაშით შესწავლაში დაეხმარება.

ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრმა უკვე დაასრულა მუშაობა მეორე დონის სახელმძღვანელოზე, რომელიც მალე დაიბეჭდება. წლის ბოლომდე მომზადდება ექვსი დონის სახელმძღვანელო, შესაბამისად, მოსწავლის წიგნები, მოსწავლის რვეულები, მასწავლებლის წიგნები, აუდიომასალა და კომპიუტერული თამაშები.

ეს დონეები არ გულისხმობს შესაბამის კლასებში სწავლას...

სახელმძღვანელოების დაყოფა არა კლასების, არამედ დონეების მიხედვით იმით არის უკეთესი, რომ პირველი დონის სახელმძღვანელო შეიძლება შეიტანონ როგორც პირველ, ასევე მესამე ან მეოთხე კლასში. ეს იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენად ფლობენ მოსწავლეები კონკრეტულ ენას, ამ შემთხვევაში – ქართულს. მაგალითად, თუ მეოთხეკლასელები სათანადოდ არ ფლობენ ქართულ ენას, შეგვიძლია მათ პირველი დონის სახელმძღვანელოთი ვასწავლოთ.

საინტერესო სიახლეა საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელ საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისა ეთნიკური უმცირესობისთვის...

ჩვენი ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს რვა მუნიციპალიტეტში ახორციელებს ძალიან მნიშვნელოვან პროექტს – „ქართულენოვანი სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობისთვის“. ეს მუნიციპალიტეტებია: დმანისი, ბოლნისი, ნინოწმინდა, მარნეული, ახალქალაქი და ახალციხე. პროგრამა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებისთვის სკოლამდელ განათლებას ქართულ ენაზე, რაც მათ შემდგომში გაუადვილებს ქართულენოვან თუ არაქართულენოვან სკოლაში სწავლას. ისინი, გარკვეულ დონეზე, მომზადებულები იქნებიან ქართული ენის შესასწავლად. სხვათა შორის, ძალიან დიდი მოთხოვნაა ადგილობრივი მოსახლეობიდან, მშობლების სურვილია, ბავშვებმა ქართული ენა სრულყოფილად შეისწავლონ. ამ რვა საპილოტე ცენტრში მთელი წლის განმავლობაში იწარმოებს მასალის პილოტირება, გადამზადდებიან პედაგოგები ახალი მეთოდიკით სწავლებაში და ა.შ. ამისათვის მოეწყო სათანადო ინფრასტრუქტურა – ავეჯი, წიგნები, სათამაშოები, საკანცელარიო საქონელი და ა.შ. პილოტირების შედეგად გვექნება კარგი რესურსი იმისთვის, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ქართულენოვანი სკოლამდელი განათლება ყველა იმ მუნიციპალიტეტს შევთავაზოთ, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. მოგეხსენებათ, სკოლამდელი დაწესებულებები მუნიციპალიტეტების კომპეტენციის სფეროა, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ჩვენი ცენტრი მეთოდურ-პროგრამულ უზრუნველყოფას ახორციელებს.

ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში“.

დავიწყებ იმით, რომ ცენტრის ფუნქცია მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნა და სახელმძღვანელოების გრიფირება არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, შემდეგ დანერგვის კვლევა და ამის საფუძველზე, მომავალი პროცესებისთვის მზადებაა. ეროვნული სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც კონკრეტული კვლევის, ექსპერტული და მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებების საფუძველზე ახლდება და ვითარდება.

რა გავაკეთეთ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის? მთელი ზაფხულის განმავლობაში ვატარებდით I-VI კლასების პედაგოგთა ტრენინგებს. ეს პროცესი სექტემბრის ბოლოდან განახლდება. ტრენინგები შეეხო დაწყებით საფეხურის ყველა საგნის პედაგოგს. ამას გარდა, გვქონდა სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი. მათ წარვუდგინეთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და სკოლის მოვლა-პატრონობის საკითხები განვიხილეთ. სულ 500 სკოლის ხელმძღვანელი გადამზადდა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირველი კლასის პედაგოგთა ტრენინგი – გადამზადდა 1900 მასწავლებელი, ყველა ის, ვინც წელს პირველ კლასში უნდა ასწავლოს. ახალი სასწავლო წლიდან, პირველ კლასებში, 6-წლიან მოსწავლეებთან ერთად, 5-წლიანი ბავშვებიც ისწავლიან. შერეული კლასის მართვა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. მოგეხსენებათ, მშობელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია 5 წლის ასაკის ბავშვი შეიყვანოს სკოლაში. თუ ადრე იმისთვის, რომ მშობელს 5 წლის ბავშვი სკოლაში შეეყვანა, საჭირო იყო სამინისტროსთვის წერილის მიწერა, სპეციალური ნებართვის მიღება, ახლა პროცესი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე ხორციელდება, მხოლოდ მშობლის სურვილზეა დამოკიდებული. შესაბამისად, რადგან კლასში 5-წლიანი მოსწავლეებიც გვყავს და 6-წლიანებიც, ეს პედაგოგისგან განსაკუთრებული მიდგომებისა და სპეციალური მეთოდიკის ცოდნას მოითხოვს, ხუთწლიან ბავშვებს სასწავლო გეგმით შეთავაზებული პროგრამის დაძლევა რომ არ გაუჭირდეთ. სწორედ ამ ტიპის ტრენინგები ჩავატარეთ ზაფხულში და, როგორც მოგახსენეთ, 1900 პედაგოგი გადამზადდა. ტრენინგები კვლავ გაგრძელდება.

ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის ცენტრმა შეიმუშავა საგნობრივი გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხსნის, განმარტავს, აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული ამოცანები და მიზნები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გზამკვლევი ინკლუზიურ განათლებაშიც მომზადდა და ძალიან მალე ჩატარდება ტრენინგები სკოლების დირექტორებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის, მეთოდოლოგიური მიდგომების გაცნობის მიზნით.

რაც შეეხება პროექტს „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში“, მისი მიზანია ასეთი მოსწავლეებისთვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – მათი მონაწილეობა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში და ჩართვა სპორტულ აქტივობებში. მისი მსვლელობისას დადგინდება პროექტში ჩართული თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება. გარდა ამისა, უშუალოდ გაკვეთილზე მოხდება მასწავლებელთა დახმარება კონკრეტული საგარჯიშოებისა და პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით. დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სპეციალურად მათთვის შემუშავდება დამხმარე მასალები. პილოტირების შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მომზადდება რეკომენდაციები ანალოგიური პროექტის სხვა სკოლებში განსახორციელებლად.

ინკლუზიური განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრისთვის და სამინისტროსთვის. ისეთ საგანში, განსაკუთრებით, როგორიც „სპორტია“, ნამდვილად გვჭირდებოდა ახალი მიდგომის ჩამოყალიბება – როგორ ჩავაბათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. სწორედ ამისთვის შემუშავდა პროექტი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში“, რომლის მხარდამჭერი, ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდია. წელს ეს პროექტი თბილისის 5 სამოდელო სკოლაში გაივლის პილოტირებას.

მომზადდა ახალი სახელმძღვანელოები უცხოეთში მოქმედი საკვირაო სკოლებისთვის...

დიახ, ამ სასწავლო წელს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი საკვირაო სკოლები ახალი პროგრამებით ხვდებიან. მომზადდა პროგრამები საქართველოს ისტორიაში, საქართველოს გეოგრაფიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. უკვე დაიბეჭდა ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო გეოგრაფიაში, რომელსაც ახლავს სამუშაო რვეული მოსწავლეებისთვის და მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო. ასევე, მზადაა სახელმძღვანელო ქართულ ენასა და ლიტერატურაში. რაც შეეხება ისტორიას, ამ საგანშიც იყო გამოცხადებული კონკურსი, მაგრამ ვერც ერთმა წარმოდგენილმა სახელმძღვანელომ ვერ გადალახა დადგენილი ბარიერი, ამიტომ კონკურსს ვადა გაუხანგრძლივდა და ამ თვის ბოლოს ველოდებით საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს.

ქართულისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების გამოყენება უცხოეთში არსებულ საკვირაო სკოლებს უკვე შეუძლიათ. აქამდე მათ არ ჰქონდათ ერთიანი პროგრამა, არც მეთოდური მითითებები. ჩვენი ცენტრის მიერ მომზადებული პროგრამები დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს სკოლები სულ სხვა საათობრივ ბადეზე და სხვა რეალიებზეა აწყობილი, მაგრამ ყველა საკითხი ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს და, შესაბამისად, ახალგაზრდა, რომელიც შეიძლება საქართველოში სასწავლებლად ჩამოვიდეს, მეტ-ნაკლებად ადაპტირებული იქნება, აქ სწავლის გაგრძელება მისთვის ძნელი არ იქნება.

გრძელდება სახელმძღვანელოების გრიფირება...

დიახ, გამოცხადებული გვაქვს ახალი კონკურსი სახელმძღვანელოებზე საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, ანუ VII-XII კლასებისთვის. გაზაფხულის ბოლოსთვის ჩვენ უკვე გვექნება შედეგი. 2012 წლიდან სკოლებში შევა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის. შესაბამისად, შეიცვლება სახელმძღვანელოებიც, რომლებიც, მინიმუმ, 5-6 წლის განმავლობაში იქნება ძალაში ისევე, როგორც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა.

კიდევ რა იყო მნიშვნელოვანი ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ გაწეულ საქმიანობაში და როგორია მომავლის გეგმები?

ბევრი პროგრამის განხორციელება გვაქვს გეგმაში როგორც წელს, ასევე გაისად. წელს მნიშვნელოვანია ის, რომ დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ეს მასალა უახლოეს დღეებში განთავსდება ჩვენი ცენტრის ვებგვერდზე. მეორე სიახლეა ის, რომ მზადდება ბილინგვური სახელმძღვანელოები – ეთნიკური უმცირესობებისთვის ბილინგვური კონცეფციით ითარგმნება ყველა ის სახელმძღვანელო, რომელმაც გრიფი მიიღო, ჯერ – I-VI და შემდეგ – VII-XII კლასებისთვის.

ცენტრი მუშაობს ძალიან მნიშვნელოვან პროგრამაზე – დამხმარე სასწავლო რესურსების კლასიფიკატორი. მოგეხსენებათ, სახელმძღვანელო არ არის ერთადერთი რესურსი, რითიც მოსწავლემ ცოდნა უნდა მიიღოს და უნარ-ჩვევები განიმტკიცოს, ამიტომ ყველა კლასისთვის და ყველა საგნისთვის შეიქმნება დამხმარე სასწავლო რესურსების კლასიფიკატორი – ეს შეიძლება იყოს კონკრეტული მხატვრული ლიტერატურა, საჭირო ვებგვერდების მისამართები, მუზეუმები კონკრეტული საგნისთვის და კლასისთვის და ა.შ.

გარდა ამისა, დასრულდა V-IX კლასების სადამრიგებლო საათის პროგრამაზე მუშაობა. შარშან სკოლებს სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასებისთვის შევთავაზეთ, წელს მუშაობა გაგრძელდა და პროგრამა IX კლასის ჩათვლით მომზადდა. გამოკვეთილი თემაა ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების საკითხები, რაც გულისხმობს ბუნებრივი კატასტროფების დროს იმ რეგიონების ბავშვების მაქსიმალურ უსაფრთხოებას, სადაც უხვია ნალექი და ხშირია წყალდიდობები ან მეწყერსაშიში და სეისმურად აქტიური ზონებია. რა თქმა უნდა, ამით ბუნებრივ კატასტროფებს ვერ შევაჩერებთ, მაგრამ შეგვიძლია ვიყოთ მზად და უსაფრთხოდ. სწორედ ამიტომ ამოქმედდა სკოლებში წელს ეს პროგრამა.

სიახლე იყო ისიც, რომ წელს ცენტრმა შეიმუშავა ესპანური, იტალიური და თურქული ენების სტანდარტები და სკოლებს, გაისად, შეუძლიათ ეს ენები მეორე უცხოურ ენად შესთავაზონ მოსწავლეებს. გარდა ამისა, დასრულდა ხაზვის სტანდარტის შემუშავება და „ხაზვა“ არჩევითი საგანი იქნება საშუალო საფეხურზე. გამოცხადდა კონკურსი ხაზვის სახელმძღვანელოზეც.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ვთარგმნეთ „ინტელის“ საგანმანათლებლო რესურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რომლითაც ნებისმიერ მსურველს (იქნება ეს მოსწავლე თუ მასწავლებელი, მშობელი თუ უბრალოდ დაინტერესებული ადამიანი) შეუძლია ისარგებლოს და კონკრეტულ თემაზე მოიძიოს საგანმანათლებლო რესურსი. ეს „ინტელის“ ძალიან ცნობილი პროგრამაა – skoool.net, ჩვენს პროგრამას ერქმევა skoool.ge. მიმდინარეობს რედაქტირება და უახლოეს მომავალში პროგრამა განთავსდება როგორც ჩვენი ცენტრის ვებგვერდზე – www.ncac.ge, ასევე სამინისტროს პორტალზე – buki.ge

ქალბატონო ნათია, მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისთვის. შევეცდებით, მკითხველს, წლის განმავლობაში, ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ იმ სიახლეთა დანერგვისა თუ პილოტირების შესახებ, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი განახორციელებს.

ესაუბრა

ლალი თვალაბეიშვილი

 დირექტორთა კლუბი

დღევანდელი განათლების სისტემა დროისათვის ფეხაწყობილ პედაგოგს ითხოვს

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი
ამირან ჯამაგიძე

დაიბადა თბილისში, 1964 წლის 8 თებერვალს.

1970-1981 წლებში სწავლობდა თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში; დაამთავრა თბილისის 31-ე ტექნიკური სასწავლებელი; ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობა: ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი; ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, სპეციალობა: საქართველოს ისტორია; შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, დრამის ფაკულტეტი, სპეციალობა: დრამის რეჟისორი.

პროფესიული საქმიანობა დაიწყო 1989 წლიდან. მუშაობდა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის და მჭევრმეტყველების პედაგოგად; ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ ცენტრის „ცისარტყელა“ დრამის პედაგოგად; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პროექტის „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფასეულობანი და მათი სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ტრენერად; 2005 წლიდან დღემდე მუშაობს „განათლების ინსტიტუტის“ საზოგადოებრივი ჯგუფის ტრენერად; 2007-2010 წლებში მუშაობდა თბილისის მე-60 საჯარო სკოლის დირექტორად; ამჟამად, არის თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი.

საფუძვლიანად ფლობს: ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს და კომპიუტერულ პროგრამებს: Ms Windows-Word, Excel, Power point, Cool Edit. გავლილი აქვს სხვადასხვა კურსები და ტრენინგები.

დაინტერესებულია ლიტერატურით, ფილოსოფია-სოციოლოგიით, თარგმანებით, მუსიკით, თეატრით, კინემატოგრაფიითა და კომპიუტერით.

წარმატებული სკოლის მოდელი

წარმატებული სკოლის რამდენიმე კრიტერიუმი არსებობს. პირველი ეს არის შედეგზე ორიენტირებული სწავლება, რომ სკოლის მოსწავლეები შეესაბამებოდნენ სკოლის მისიას, ანუ სკოლის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი ზოგადად უმაღლესი განათლების მისაღებად და გარდა ამისა, ის, ვინც უმაღლეს განათლებას არ მიიღებს, შესაბამისად, დასაქმდეს სოცმუშაკად. აქედან გამომდინარე, სკოლა წარმატებულია, როდესაც ყველა კურსდამთავრებული რეალიზდება. ზოგი – უმაღლესი განათლების სფეროში, ზოგი – პროფესიული განათლების, ზოგიც კი საზოგადოებისთვის სასარგებლო ნებისმიერ საქმიანობას ეწევა. ჩვენ ძირითადად ამაზე ვართ ორიენტირებულნი. მიზნის მისაღწევად უამრავი სხვადასხვა სტრატეგია არსებობს, რომლის საბოლოო შედეგი სწორედ რეალიზებული თაობაა. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ამოვარდნილები იყვნენ.

წელს 106 კურსდამთავრებული გვყავდა, შედეგებით აღფრთოვანებული არ ვარ. ერთიან ეროვნულ გამოცდებში, 106-დან 3-მა აბიტურიენტმა თითო საგანი ვერ დაძლია. მათი მოსწრება საშუალოზე ოდნავ დაბალი იყო. გარდა ამისა, მათ შემთხვევაში, წამოიჭრა პროფესიული ორიენტაციის პრობლემა, ანუ აირჩიეს ის პროფესია, რომლის მიმართ არ ჰქონდათ მიდრეკილება. მაგალითად, გოგონას სკოლაში სწავლის 12 წლის მანძილზე, მათემატიკაში 7 წელი ჰქონდა აკადემიური დავალიანება და რატომ გადაწყვიტა, რომ მისგან კარგი მათემატიკოსი გამოვიდოდა, ვერ გეტყვით. სკოლა სწორად უნდა ავითარებდეს მოზარდის უნარს, რათა იცოდეს, რისი ნიჭი და შესაძლებლობები აქვს, რა კუთხით შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.

გვყავს 100-პროცენტიანი გრანტიორები ისეთ საგნებშიც კი, რომლებიც პრიორიტეტულად არ ითვლება დღევანდელი ბაზრისთვის. ერთ-ერთი ჩვენი წლევანდელი კურსდამთავრებული მომავალში თეორიულ იურისპრუდენციაში იმუშავებს, მან ასპროცენტიანი დაფინანსება მიიღო, მისი არჩევანი მოტივირებული იყო და შედეგიც სახეზეა.

წარმატებული სკოლა თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ჩვენი სკოლა ამ მოთხოვნებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს. ამ ეტაპზე არ გვაქვს სპორტული დარბაზი, თუმცა მომავალი წლიდან აუცილებლად გვექნება. ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, ეს იქნება 500 კვ.მ დახურული სპორტული მოედანი, საშხაპეებითა და გასახდელებით.

ჩვენი სკოლა ჩვეულებრივი მუნიციპალური სკოლაა, თავისი მოთხოვნების მიხედვით. ორ სრულ ცვლაში ვსწავლობთ, დაწყებითი სწავლება გვაქვს მეორე ცვლაში, ეს გარკვეულწილად მსუბუქ პრობლემას ქმნის. ჩვენს მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯონ ქორეოგრაფიულ, საესტრადო ვოკალის, ხალხური სიმღერისა თუ თეატრალურ წრეებში, სკოლაში ფუნქციონირებს ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფები. ისწავლება რამდენიმე უცხო ენა, მათ შორის სპარსული, რომელიც ფინანსდება ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მიერ, გვაქვს გერმანულის, ბერძნულის შემსწავლელი ჯგუფები, რუსული ენის ფასიანი ჯგუფები დაწყებით კლასებში; გვაქვს სპორტული ცეკვების ჯგუფი და შოტოკან კარატეს წრე. წელს ამოქმედდება გახანგრძლივებული ჯგუფი. ვცდილობთ, მოსწავლეებს მრავალფეროვანი სერვისი შევთავაზოთ, რა თქმა უნდა, შეღავათიან ფასებში. სკოლას ერთი კარგი რესურსი აქვს სხვენის სახით, სადაც მხატვრული სტუდიების გაკეთება შეიძლება, მაგრამ სპონსორის გარეშე, მხოლოდ სკოლის ბიუჯეტით, ამას ვერ შეძლებს.

თანამედროვე პედაგოგი

ძველი განათლების სისტემის მოდელიდან გამომდინარე, მენტორი პედაგოგი, რომელიც ზოგადად განაპირობებს სასწავლო პროცესს ანი-დან ჰაე-მდე, ანუ არის ამინდის შემქმნელი, ძირითადად გადასცემს ინფორმაციას და ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ ითვლება, კარგახანია ისტორიას ჩაბარდა. დღევანდელი პედაგოგისგან, პირველ რიგში, მოსწავლე ძალიან მაღალი ხარისხის კრეატულობას ითხოვს. პედაგოგი მუდმივი განვითარების პროცესში უნდა იყოს, იმიტომ რომ პრივილეგია ინფორმაციაზე დღეს მხოლოდ მასწავლებელს არ აქვს. დღეს, ეს პრივილეგია, ზოგადად, დროის ფაქტორია. თუ ჩემმა მოსწავლემ, დილით ჩემზე ადრე გადაათვალიერა ინტერნეტსიახლეები, ადვილი შესაძლებელია შუადღისათვის, უკვე ჩემზე მეტი ინფორმაცია ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, დღევანდელი განათლების სისტემა დროისათვის ფეხაწყობილ პედაგოგს ითხოვს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, პედაგოგების ასაკმა თანდათან დაიკლოს, თუმცა მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ. ასაკის გამოკიდებამ შეიძლება პროფესიონალიზმი დაგვაკარგინოს. ამიტომ, ალბათ ყველაზე რეალურია ის პრიორიტეტები, რაც დღეს განათლების სისტემაში არსებობს – პედაგოგთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ჩვენ უარს არ ვამბობთ ღვაწლმოსილ პედაგოგებზე, რომლებსაც სურვილი აქვთ, ფეხი აუწყონ სიახლეებს. ეს იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენების ცოდნა, კომპიუტერის არა მარტო ფლობა, არამედ გამოყენება ინფორმაციის მოძიება-დამუშავების პროცესში. ჩვენი სკოლა ყველანაირად ეხმარება პედაგოგებს ამ უნარების გაღრმავებაში, შარშან და შარშანწინ პედაგოგებისთვის სკოლაში, ITმენეჯერი ატარებდა ლექციაკურსებს. გვაქვს არაჩვეულებრივი საინფორმაციო ბაზა, კომპიუტერული ქსელი. მთავარია, პედაგოგი მოსწავლის მოთხოვნილებებს არ ჩამორჩეს, ანუ მოსწავლისთვის საინტერესო იყოს. ძველად კარგი განათლება იყო გარანტი იმისა, რომ მოსწავლისთვის საინტერესო იყავი. დღეს პედაგოგს ცოტა მეტი მოეთხოვება და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

ამ ეტაპზე, ჩვენს სკოლაში 10 სერტიფიცირებული პედაგოგია (წლევანდელი შედეგები ბოლომდე დადგენილი არ არის), ეს არც ისე ბევრია, მაგრამ ჩვენი სკოლის დაახლოებით 40 პედაგოგს საგნობრივი ან პროფესიული უნარები აქვს ჩაბარებული. გვყავს, ასევე, 1 სრული სერტიფიცირებული მასწავლებელი.

ჩემი ოცნება იყო და ძალიან მიხარია, რომ სულ მალე საქართველოში „მასწავლებლის სახლი“ გაიხსნება, სადაც პედაგოგს შესაძლებლობა ექნება, მუდმივად იზრუნოს პროფესიულ დაოსტატებაზე. ზოგადად, ბოლო პერიოდში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ პედაგოგმა სოციალურად პატივცემული პროფესიის სტატუსი დაიბრუნოს.

უსაფრთხო სკოლა

სკოლას საკმაოდ მობილური შინაგანაწესი აქვს და მის დაცვას სიმკაცრე არ სჭირდება. სულ რაღაც 10 დღეში, ჩვენი სკოლის საიტზე დაიდება ახალი შინაგანაწესის ვარიანტი, რომლის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მოსწავლეები, ისე მშობლები და მასწავლებლები. უსაფრთხო სკოლის მთავარი ამოსავალი წერტილი სკოლის სასურველობა უნდა იყოს. სკოლა მოსწავლისთვის უნდა იყოს საინტერესო, მოსწავლე სკოლასთან არ უნდა ასოცირებდეს აკრძალვას.

განათლების რეფორმა

ჩვენმა თაობამ იცის, როგორი იყო განათლების სისტემა და როგორი იქნება რეფორმის შემდეგ. შესაბამისად, ყველაზე უფრო მოტივირებული და მზად რეფორმისათვის, ალბათ, ის თაობა აღმოჩნდა, რომელსაც შედარების საშუალება მიეცა. ჩვენ ვიცით, რა აღარ გვინდა გვქონდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეფორმა ფრიად წარმატებულია. გახსოვთ ალბათ ის დრო, როცა განათლების მექანიზმი, ფაქტობრივად, მუშა მდგომარეობიდან იყო გამოსული, როდესაც საზოგადოება უარს ამბობდა განათლების ხარისხზე და მხოლოდ განათლების ფაქტს, უბრალოდ შედეგს აღიარებდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობდა დიპლომებსა და ატესტატებს გამოკიდებული თაობა. და აი, მოვიდა დრო, როდესაც თვისობრივად სხვა აზრი ჩაიდო განათლებაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს არის რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომელიც წარმატებულად მიდის ლოგიკური შედეგისაკენ. წელს, უკვე აღარ ისმის კითხვა – „არის თუ არა სკოლაში სიარული სავალდებულო?“ დღეს აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სკოლაში უნდა იარო იმიტომ, რომ მიიღო ხარისხიანი განათლება. ლოგიკური თანმიმდევრობით გადადგმული ნაბიჯები, უშუალოდ შედეგზეა ორიენტირებული. კერძოდ, გამკაცრდა გაკვეთილებზე დასწრების კონტროლი, ამუშავდა როგორც შიდა, ასევე გარე მექანიზმი. შესაბამისად, გაკეთდა აქცენტი სკოლაში მოსული ბავშვის მოტივაციაზე, ანუ სწავლების ხარისხზე, გასული სასწავლო წლის ბოლოს შემოწმდა სწავლების ხარისხი, ე.წ. CAT-ის ტიპის გამოცდებით და შედეგიც დავინახეთ, სად გვაქვს დარღვევები. არავინ არ მალავს, რომ ჯერჯერობით არის სკოლები, სადაც სასწავლო პროცესი ფიქციაა. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მაქსიმალურად ყველა ღონე ვიხმარეთ იმისათვის, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი შინაარსობრივადაც და ხარისხობრივადაც დაგვეტვირთა. შედეგი სახეზეა – ჩვენი სკოლა იმ 20 სკოლათა შორის მოხვდა, რომელიც ყველაზე წარმატებულია, საერთო მოცემულობიდან გამომდინარე.

რა თქმა უნდა, ძველის მსხვრევა და ახლის შენება გამორიცხავს სრულ იდილიას. მაგალითად, წელს პირველი მცდელობაა, რომ სახელმძღვანელოების პრობლემა გადაიჭრას, თუმცა ამ შედეგამდე რამდენიმე ცვლილებით მივედით. ბირთვი პროგრამის ცნება ძალიან წარმატებულია და მიმაჩნია, რომ საშუალებას მოგვცემს მოსწავლეთა მობილობის პროცესი არ მოქმედებდეს ხარისხზე. თუ სხვადასხვა ავტორთა კოლექტივების მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში ბირთვი 60-80 პროცენტამდე იქნება, ნებისმიერი მოსწავლე, სკოლიდან სკოლაში გადასვლისას, იმ უხერხულობას არ წააწყდება, რაც სამი წლის წინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ წელსაც დავდექით მსგავსი პრობლემის წინაშე სკოლის მისაღებ გამოცდებზე – სხვადასხვა ავტორთა კოლექტივების მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებს შორის თანხვედრა, ფაქტობრივად, არ იყო. პროგრამები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. რის გამოც სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების ცოდნის ხარისხის შემოწმებისას, სხვადასხვა ხერხების გმოყენება მოგვიხდა. რა თქმა უნდა, სასკოლო სახელმძღვანელოების ერთიანი მოდელი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უკვე ნამდვილად ვიცით, რომ პირველი კლასის შემდეგ, მეორე კლასის სახელმძღვანელოს არჩევისას, ანუ ამ ბლოკში სახელმძღვანელოების ბმა, შინაარსობრივად, გამორიცხავს საკითხების განმეორებას ან გარკვეული საკითხების, უბრალოდ, სასწავლო კონტექსტიდან ამოგდებას. იმედი მაქვს, რომ VII-XII კლასების სახელმძღვანელოების მოდელზე მუშაობაც წარმატებულად დამთავრდება. ერთადერთი უხერხულობა დროის უკმარისობაა. მოგეხსენებათ, განათლების სისტემა მუშა მექანიზმია და მისი გაჩერება, სრულყოფა და შემდგომ ხელახლა ამუშავება შეუძლებელია. მუშაობის პროცესში კი, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ განსაზღვრავ საბოლოო შედეგზე ორიენტაციას. ამიტომ ხდება მუშაობის პროცესში ხარვეზების კორექტირება. ეს არის ჩვეულებრივი, კარგად გათვლილი რისკები, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს არ წარმოქმნის. უახლოესი სამი წლის შემდეგ რეფორმა საბოლოო ნიშნულზე გავა. თუმცა, ყველაფერი მაინც ისევ ჩვენს შრომისმოყვარეობაზე, პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული.

№1 პრიორიტეტი

ჩემთვის მთავარია მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა იყოს ურთიერთპატივისცემის ჭრილში განხილული და მოსწავლესა და მასწავლებელს შორის იყოს ინტელექტუალური მეგობრობა. ურთიერთპატივისცემის გარემოში სწავლება და სწავლა ჩემთვის იდეალია. მე მქონდა ფუფუნება, მყოლოდა კარგი მოსწავლეები და მიმაჩნია, რომ არც მე ვიყავი ცუდი მასწავლებელი. ამ თვალსაზრისით ვხედავ, დღეს მოდის თაობა, რომელიც გაცილებით უფრო წინ წავიდა ჩვენი თაობის – ფლობენ კარგ ცოდნას, აქვთ ის ხიბლი, რასაც ახალგაზრდობა და ენერგიის უშურველი ხარჯვა ჰქვია.

სკოლის დირექტორის თავისუფალი დრო

თავისუფალ დროს, რომელიც არც ისე ბევრი მაქვს, ისევ და ისევ, მოსწავლეებთან ერთად ვატარებ. მაინც ვახერხებ ჩემი მეორე სპეციალობის (თეატრის რეჟისურა) გამოყენებას. თავისუფალ დროს ვეცნობი სიახლეებს როგორც თეატრში, ისე დრამატურგიაში, რომელსაც ისევ სკოლის სასარგებლოდ ვიყენებ, იმიტომ რომ გვაქვს სასკოლო თეატრის აღორძინების იდეა. მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლა ქართული თეატრის დედაა, პირველი ქართული სპექტაკლი სწორედ ამ სკოლაში იშვა. რადგანაც სკოლას დაუბრუნდა ძველი სახელი – თბილისის კლასიკური გიმნაზია, ბევრი რამ, რაც გიმნაზიის სახელთან ასოცირდებოდა (მათ შორის – სასკოლო სპექტაკლები და სასკოლო ჟურნალი) გვინდა აღვადგინოთ. ასე რომ წელს ძველი ტრადიციების აღორძინებას მოვახმარ თავისუფალ დროს.

პროგლემების დაძლევა

პროექტის „ალუმნაი“ ფარგლებში სკოლას ძალიან დიდ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევენ ჩვენი სახელოვანი კურსდამთავრებულები: ქალაქის მერი, პრემიერ-მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე და მრავალი სხვ.

ვაპირებთ შევქმნათ პირველსკოლელთა ასოციაცია, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მარტო ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე, არამედ თვისობრივი ცვლილებების განხორციელებისას დახმარებაზე. როგორც მათ ეამაყებათ, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები იყვნენ, ასევე გვეამაყება ჩვენ, რომ ისინი კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებულები არიან.

მოამზადა
მაკა ყიფშიანმა

კონკურსი

„მე – ომბუდსმენი 2011“ დასრულდა

23 სექტემბერს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ კონკურსის „მე – ომბუდსმენი 2011“ გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, საქართველოს სახალხო დამცველმა **გიორგი ტულუშმა** და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **ფილიპ დიმიტროვმა** კონკურსის „მე – ომბუდსმენი 2011“ გამარჯვებული მოსწავლეები სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

კონკურსში „მე – ომბუდსმენი 2011“ პირველი ადგილი თბილისის 112-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: **თინათინ ასლამაზიშვილმა** და **თამარ ნოზაძემ** დაიკავეს, მათ საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ. მეორე ადგილზე თბილისის 173-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: 13 წლის **ეკატერინე ჯანიაშვილი** (კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე) და **დიანა ენდელაძე** გავიდნენ, რომლებიც ნოუთბუქების მფლობელები გახდნენ. მესამე ადგილი კი ორმა გუნდმა გაინაწილა: სურამის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: **სოფო ხაჩიძემ, ეკა გოგოლაძემ** და თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: **კახა** და **გიორგი ბრეგვაძეებმა**. ორივე გუნდს წილად ხვდა ფოტოაპარატები, წიგნები და ჟურნალები. მათ ასევე გადაეცათ სიგელები.

სახალხო დამცველის მიერ, 13-18 წლის ახალგაზრდებისათვის ორგანიზებული კონკურსი „მე – ომბუდსმენი 2011“ სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას ემსახურება. კონკურსი წელს მეორედ გაიმართა და მასში 329 გუნდი (1 000 მოთამაშე) მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. კონკურსი დაფუძნებული იყო ქსელურ ტექნოლოგიებზე და ინტერნეტის საშუალებით განხორციელდა. კონკურსის პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა ადამიანის უფლებების შესახებ ონლაინტესტირება გაიარეს, პირველი ტურის შედეგად 329 გუნდიდან 76-მა გადალახა ბარიერი. მეორე ტურში გამოვლინდა 10 ფინალისტი გუნდი. ფინალური რაუნდისთვის კი, საბოლოოდ სამი გამარჯვებული გუნდი შეირჩა, რომელთა ნაშრომები სამი დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.

კონკურსი „მე – ომბუდსმენი 2011“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით ჩატარდა.

დაჯილდოების ცერემონიალზე, კონკურსის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა **ფილიპ დიმიტროვმა**: „კონკურსი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბავშვები ცდილობენ გამოსცადონ საკუთარი თავი ომბუდსმენის როლში. მოგეხსენებათ, თავად ომბუდსმენის ფიგურა რაოდენ მნიშვნელოვანია. მისი მთავარი მოვალეობა, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დაცვაა, მაგრამ მისი ფუნქციები ბევრად უფრო ფართოა. იმიტომ რომ, ერთი მხრივ, ომბუდსმენი ყოველთვის მზად უნდა იყოს ადამიანის უფლებების დასაცავად, მაგრამ, მეორე მხრივ, ის ვალდებულია დიდი პასუხისმგებლობით მიუდგეს ამ საკითხებს და სიღრმისეულად შეისწავლოს ყველა ის პრობლემა, რომელიც ამ კუთხით წამოჭრის კომფლიქტებს. ასეთი კონკურსები საუკეთესო გზაა, დავაინტერესოთ ბავშვები, რათა შეისწავლონ ადამიანის უფლებები და შეძლონ ამ უფლებების დაცვა. ისინი თავად გამოდიან ომბუდსმენის როლში. მიხარია, რომ საკმაოდ კარგი შედეგები მივიღეთ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე – **ეკატერინე ჯანიაშვილი** და პირველი ადგილის მფლობელები თინათინ ასლამაზიშვილი და თამარ ნოზაძე, რომლებიც საუკეთესონი არიან“.

დიმიტრი შაშკინი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ბავშვები დემოკრატიის ღირებულებებს სწავლობენ. სამოქალაქო განათლება ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენ მომავალშიც მხარს დავუჭერთ ამ პროექტს, რადგან ადამიანის ჩამოყალიბება და განვითარება სკოლაში იწყება, მათ სწორედ სკოლაში უნდა ისწავლონ, რა არის დემოკრატია, ღირსება და პასუხისმგებლობა.

გიორგი ტულუში, სახალხო დამცველი: „ეს არის უპრეცედენტო სასკოლო კონკურსი, სადაც ასეული სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ. კონკურსი ემსახურება სკოლის მოსწავლეების ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ცოდნის ამაღლებას და, რა თქმა უნდა, მათ მოტივირებას, რომ რაც შეიძლება მეტი იკითხონ ადამიანის უფლებებზე, იცოდნენ თუ რას აკეთებს საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტი. კონკურსის მიმდინარეობა საკმაოდ რთული იყო. კონკურსი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა, ამიტომაც, შესაბამისად, გამარჯვებული გუნდებისთვის პრიზები საკმაოდ სოლიდური დავაწესეთ. სასკოლო კონკურსი „მე – ომბუდსმენი 2011“ მეორე წელია ტარდება და, რა თქმა უნდა, შემდეგ წელსაც ჩატარდება. ვიმედოვნებ, რომ მალე საქართველოს ყველა სკოლას მოვიცავთ. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ დაახლოებით 70 პროცენტი სკოლებისა რეგიონებიდანაა, მათ შორის მაღალმთიანი რაიონებიდან, რომლებიც საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ ამ კონკურსში“.

თინათინ ასლამაზიშვილი, გუნდი „ვიქტორია“: „ როგორც კი კონკურსის შესახებ გავიგე და პიროებს გავეცანი, მაშინვე გამიჩნდა სურვილი, მიმეღო მონაწილეობა. მე და ჩემმა მეგობარმა ინტერნეტში მოვიძიეთ საჭირო ინფორმაცია და გავიარეთ ყველა ეტაპი. ჩვენ გვქონდა მოცემული იურიდიული კაზუსი – ადამიანის უფლებების საქმესთან დაკავშირებით, უნდა აღმოგვეჩინა დარღვევები და გვემსჯელა მათი აღმოფხვრის გზებზე, შემდეგ უნდა გაგვეკეთებინა დასკვნები. რა თქმა უნდა, შესაძლებლობა გვქონდა გვესარგებლა სახალხო დამცველის ბიბლიოთეკით, რომელმაც სრულყოფილი ინფორმაციის მოძიების საშუალება მოგვცა. ჩვენ შევძელით შესაბამისი კანონებით დაგვემტკიცებინა, რომ მოცემული ფაქტები ადამიანის უფლებათა დარღვევა იყო. 3 საათი ვწერდით იურიდიულ კაზუსს – ესსეს, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა, დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ გამარჯვებულთა შორის მოვხვდით“.

თამარ ნოზაძე, გუნდი „ვიქტორია“: „კონკურსში პირველად მივიღე მონაწილეობა. ძალიან კმაყოფილი ვარ. კონკურსის მიმდინარეობა საინტერესო და მრავლისმომცველი იყო. მე და ჩემმა მეგობარმა უამრავი ინფორმაცია მოვიძიეთ და ბევრი რამ შევიტყვეთ ადამიანის უფლებების შესახებ. ვფიქრობ, ჩვენი შრომა წარმატებული აღმოჩნდა. მიხარია, რომ კონკურსის გამარჯვებულები გავხდით“.

ეკატერინე ჯანიაშვილი, გუნდი „თემიდა“: „კონკურსის შესახებ ინტერნეტით შევიტყვე, ძალიან დავინტერესდი. მომავალში ჟურნალისტობას ვაპირებ. ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო ჟურნალისტიკაში ძალიან აქტუალური თემაა, გადავწყვიტე ბედი მეცადა, რომ გამოცდილება მიმეღო. გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი, ძალიან გახარებული ვარ“.

დიანა ენდელაძე, გუნდი „თემიდა“: „თავდაპირველად, როცა კონკურსის პირობებისა და მონაწილეების შესახებ შევიტყვე, ცოტა არ იყოს, შევშინდი. მივხვდი, რომ ეს იქნებოდა საკმაოდ კონკურენტუნარიანი კონკურსი. სიმართლე გითხრათ, მეორე ადგილზე გასვლას არ ველოდი. კონკურსი იმდენად შრომატევადი, და ამავე დროს, იმდენად საინტერესო იყო, ჩემთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა, ათეულში რომ გავსულიყავი. რა თქმა უნდა, მეორე საპრიზო ადგილზე გასვლა ძალიან გამიხარდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ომბუდსმენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თუნდაც საკუთარი უფლებების დაცვის კუთხით, დიდი გამოცდილება შევიძინოთ“.

კახა ბრეგვაძე, გუნდი „ბროკატი“: „კონკურსის შესახებ ისტორიის მასწავლებელმა გვამცნო. ძალიან დავინტერესდი, იმიტომ რომ შემოთავაზება საკმაოდ მაცდური იყო: „გაიმარჯვე, გახდი ომბუდსმენი და მოიგე პერსონალური კომპიუტერი“. პირველი ორი ტურიანალიტიკური აზროვნების უნარს მოითხოვდა. მესამე ტურში მოცემული სამოდელო ამოცანა ადამიანის უფლებათა სფეროში – წერილობითი დასკვნის მომზადებას, რაც საკმაოდ შრომატევადი და რთული იყო. მოცემულ სიტუაციაში უნდა დაგვენახა თუ რა უფლებები ირღვეოდა და გვეპოვა მათი აღმოფხვრის საშუალებები. ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი. კონკურსში მონაწილეობამ ძალიან დიდი გამოცდილება მომცა. ბევრი რამ შევიტყვე ადამიანის უფლებებზე, ეს ის სფეროა, რომელიც ყველა მოქალაქემ აუცილებლად უნდა იცოდეს“.

გიორგი ბრეგვაძე, გუნდი „ბროკატი“: „მოხარული ვარ, რომ კონკურსში მონაწილეობის საშუალება მომეცა და ჩვენი შრომა დაფასდა, გამარჯვებულთა შორის მოვხვდით. დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს და მხარდამჭერებს“.

სოფო ხაჩიძე, გუნდი „ესკო“: „ორი ტური ონლაინ რეჟიმში გავიარეთ, ფინალში ვწერეთ თემა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხებოდა. კონკურსში მონაწილეობა საინტერესო და, ამავე დროს, შრომატევადიც იყო, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, მიხარია, რომ ჩვენი გუნდი სამეულში მოხვდა“.

ეკა გოგოლაძე, გუნდი „ესკო“: „ჩემთვის ასეთი გამარჯვება ძალიან მოულოდნელი იყო. დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს და მხარდამჭერებს იმისათვის, რომ მოგვეცა საშუალება საკუთარი შესაძლებლობები გამოგვეცადა. კონკურსში მონაწილეობამ საკმაო გამოცდილება და მეტი თავდაჯერებულობა მომცა. მსგავს კონკურსებში მოსწავლეების ჩართვა და ამ საკითხებზე ინფორმირება, ვფიქრობ, ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება“.

მაკა ყიფიანი

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ...“

წიწამური ქართველთა გოლგოთაა. 104 წლის წინ, 1907 წლის 30 აგვისტოს (ახალი სტილით – 12 სექტემბერს) სწორედ აქ გამოასალმეს სიცოცხლეს ქართველთა ყველაზე უბოროტესმა მტრებმა 70 წლის ილია – ილია მართალი.

– არ მესროლოთ, ილია ვარ! – ექოდ შეეხალა ზედაზნის კალთებს ილიას უკანასკნელი შეძახილი, რომელიც თოფის გასროლამ დაფარა და სანამ ის ტყვია ილიამდე მიაღწევდა, ერის მამამ უკვე იცოდა, რომ სწორედაც იმიტომ კლავდნენ, ილია რომ იყო...

ეს მოხდა შუადღისას, 13 საათსა და 20 წუთზე. ილიას მკვლელობის ეს თარიღი ქართველებმა ისევე მივივიწყეთ, როგორც ბევრი სხვა რამ, რასაც ილია დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებდა და გვიკიჟინებდა, რომელთაგან უმთავრესი მაინც ეს იყო – ერი და ხალხი რომ გვერქვას, სამი საუნჯე მაინც უნდა გადავარჩინოთ და სიცოცხლის ფასად შევინახოთო – მამული, ენა, სარწმუნოება...

თუ არ ჩავთვლით საქართველოს ოქროს ხანას – მეთორმეტე საუკუნეს, – ქართველებს დალხინებული ცხოვრება ისტორიის თითქმის არც ერთ მონაკვეთში არ გვქონია – მოვდივართ საუკუნეთა სიღრმიდან და მოვტირით ჩვენს წუთისოფელს – ასე იყო ილიამდე და ასე იყო ილიას შემდეგაც. საქართველომ ის პერიოდიც გამოიარა, როცა ილიას ხსენებაც კი აკრძალული იყო, თუმცა მერე ერთ-ერთი მისი ამკრძალავთაგანი მიხვდა, რომ ამაო იყო ეს ყველაფერი – ილია ყოველი ჭეშმარიტი ქართველის გულში ცოცხლობდა და მუდამ იცოცხლებს, სანამ საქართველო იარსებებს.

– ილია არ მომკვდარა, ილია ცოცხალია! – ეს გახლავთ დედააზრი იმ შეკრებებისა, რომელიც ილიას საგურამოს მუზეუმში იმართება, ყოველწლიურად, 12 სექტემბერს.

ამ დღეს მუზეუმში თავს იყრის ქართული საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც ძვირფასია ილიას სახელი და ეროვნულობის ის განცდა, რასაც შეეწირა ილია მართალი. აქ მოდიან მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ხელოვანები, ჟურნალისტები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სოფლის ინტელიგენცია.

ასე იყო ამჯერადაც. 12 სექტემბერს კიდევ ერთხელ ითქვა, თუკი საქართველოს სურს გადარჩენა ამ მღელვარე და ყოვლისწამლეკავი კატაკლიზმების ეპოქაში, უნდა მოძებნოს და მყარად დაადგეს ილიას გზას, გადაარჩინოს ეროვნული და სულიერი ფასეულობანი.

წიწამურში, ილიას მკვლელობის ადგილზე აღმართულ ობელისკთან, სწორედ იმ წუთიდან დაიწყო შეკრება, როცა აქ, 104 წლის წინ, პირველი გასროლა გაისმა.

ილია მართლის ტაძრის წინამძღვარმა მამა ტარიელმა თქვა, რომ ილია ვერ მოკლეს და არც შეიძლებოდა რომ მოეკლათ – მან თითოეული ქართველის გულში იპოვაო სამუდამო სავანე. 11 სექტემბერი მართლმადიდებლურ სამყაროში მძიმე მარხვის დღეა – იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე, მაგრამ ქართული ეკლესია მეორე დღეს – 12 სექტემბერსაც აგრძელებს მძიმე მარხვას, რადგანაც ეს დღე ილიას მკვლელობის დღეა.

ობელისკთან შეკრებილებმა შემდეგ ილიას მუზეუმში გადაინაცვლეს და იქ გაგრძელდა საუბრები ილიაზე და ილიას გარშემო.

შარშან ილიას საგურამოს მუზეუმის ფონდმა დააარსა ტიტული „მუზეუმის მეგობარი“. შარშანვე ეს ტიტული, ერთ-ერთ პირველთაგანს, გადაეცა ქართველ მეცენატსა და ქველმოქმედს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ეს მუზეუმი საშვილიშვილოდ გაამყარა და შეაკეთა. ეს ტიტული გადაეცათ, აგრეთვე, ილია მართლის სახელზე აგებული ტაძრის კტიტორებს – ვაჟა უსანეთაშვილს, გია გაგუას, გია ანდღულაძეს, ილია შონიას და თენგიზ გავაშელს, აგრეთვე, მუზეუმის შეკრებებისა და ღონისძიებების დამფინანსებელსა და ილიას ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებელს ზურაბ ჩხაიძეს, ამ მუზეუმისათვის თავგადაკლულ კაცს – მიშა ლოლაძეს.

წლევანდელ 12 სექტემბერს კი ილიას საგურამოს მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ „მუზეუმის მეგობართა“ ახალი სახელები გაახმიანა. ესენი არიან – ილიას ფონდის წევრი, ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე, მუზეუმის სტაჟიანი პატრიოტი გურამ ახრახაძე და საგურამოელი კაცი, ამ მუზეუმის ერთ-ერთი გულწრფელი მოყვარული და გულშემატკივარი გივი ბაქრაძე. მუზეუმის დირექტორმა მათ შესაბამისი დიპლომები გადასცა.

8 ნოემბერს კი, ილიას დაბადების დღეს, აქ, საგურამოს მუზეუმში, გახმიანდება ილიას ფონდის მიერ დაარსებული ყველაზე მაღალი ჯილდოს – ილიას მედლის წლევანდელი მფლობელის და აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა ნომინაციაში ილიას სახელობის პრემიის ლაურეატთა ახალი სახელებიც.

შეგახსენებთ, რომ ილიას მედლის ერთ-ერთი პირველი მფლობელია მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ანზორ ერქომაიშვილი, რობერტ სტურუა და სხვანი.

შარშან ილიას სახელობის პრემია, პროზის ნომინაციაში, წილად ერგო ოტია იოსელიანს. სამწუხაროა, რომ სამშობლოსთვის დამაშვრალი ეს დიდი ადამიანი წლევანდელ ილიაობას ვეღარ მოესწრო. ბატონი ოტია ამ ფაქტით გახარებული კი არ ჩანდა, უფრო შეწუხებული იყო:

– *„ქართველი მწერალი პრემიის მოსაპოვებლად კი არ უნდა ირჯებოდეს, არამედ ერისა და თავისი ხალხის სატკივარით უნდა ცხოვრობდეს დღენიადაგ. ილიას ჰქონდა რაიმე ტიტული, პრემია ან მედალი? – არა, ხომ? – ამით მის სახელსა და დიდებულებას რამე დაკლებია? ეს ჩემი პრემიაც ილიას სახელს რომ არ უკავშირდებოდეს, რა თქმა უნდა, აქანა არ მევიდოდი“.* ხოლო ტელეჟურნალისტებს, რომლებიც გარს ეხვეოდნენ და ინტერვიუს სთხოვდნენ, ეუბნებოდა – რას გეტყვით, იცით? – თქვენც, თქვენი ყველა თანატოლიც და მეგობარიც, ოჯახიც და სანათესაოც და მთელი საქართველოც, – თუკი იმას ვერ მიხვდება, რომ ყველა მიეთ-მოეთს შეეშვას და ილიას მიერ გაკვალულ გზას დაადგეს, – არაფერი გვეშველებაო!..

104 წლის წინ კი, თბილისის სახლიდან (ჩუბინაშვილის ქ. №6) საგურამოსკენ მომავალი ილია მთელი გზა თურმე ერთ მელოდიას ღიღინებდა:

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ, ყველა დაგიწყებს გმობასა!..“

თამარ თათარაშვილი

ინფორმაცია

* * *

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროექტი „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ამოქმედებულია. პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების გაძლიერებაზეა ორიენტირებული.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობების სკოლებში ქართულენოვანი პედაგოგების გაგზავნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში პედაგოგები უკვე წარგზავნილია. პროგრამის ფარგლებში, ისინი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან.

პროგრამაში „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეთა მთავარი ფუნქცია ქართული ენის გაკვეთილებზე ადგილობრივ პედაგოგებთან თანამშრომლობა და ქართული ენის გაკვეთილების ჩატარებაა. გარდა ამისა, სხვა საგნების პედაგოგებს გაკვეთილების ბილინგვური მეთოდით წარმართვის პროცესშიც ეხმარებიან. პედაგოგები ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრობენ და სახელმწიფო ენას მათაც ასწავლიან.

2011 წლის ბოლოსთვის პროგრამაში 500 მონაწილე ჩაერთვება.

პროგრამაში მონაწილეობა ბაკალავრის ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენაა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში ერთი აკადემიური წლის მუშაობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს, 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დააფინანსებს.

ამავდროულად, მონაწილეებს პროგრამაში ჩართვა პედაგოგად მუშაობის სტაჟში ეთვლებათ. შესაბამისად, საშუალება აქვთ, სკოლაში მუშაობა მასწავლებლებად განაგრძონ და სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარონ.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლა გახსნა. პრეზიდენტი სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს ესაუბრა და თანამედროვე კაბინეტები დაათვალიერა. ახალი სკოლა ორას მოსწავლეზეა გათვლილი.

პროგრამა, „აინშტაინის“ ფარგლებში მოწყობილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, გახსნილია ინგლისური ენის კაბინეტი, სადაც მოსწავლეებს ინგლისურ ენას პროგრამაში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე უცხოელი პედაგოგი ასწავლის. სკოლაში, ასევე, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კაბინეტი.

ინკლუზიური მოსწავლეებისათვის დამონტაჟებულია პანდუსი. ამჟამად, მელაანიის საჯარო სკოლაში 163 მოსწავლე სწავლობს, რომელთა აღზრდას 28 პედაგოგი ემსახურება.

პრეზიდენტმა ათასანი მეათეკლასელი მოსწავლეები – გიგა ასკილაშვილი, ანნა თაბორიძე და ცისმარი ირომაშვილი – წარჩინებული სწავლისთვის პორტატული კომპიუტერებით დაასაჩუქრა.

მელაანიის საჯარო სკოლისთვის ახალი შენობის აგება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც სკოლის ძველი შენობა მთლიანად დაზიანდა და ექსპლუატაციისთვის უვარგისი გახდა. 1998 წლიდან სკოლა სამ სხვადასხვა შენობაში იყო განთავსებული.

ისტორიულად, სოფელ მელაანში, პირველად, 1882 წელს, ორკლასიანი სკოლა, ნინო ანდრონიკაშვილის მიერ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხარდაჭერით დაარსდა.

ბუშეტის მანიფესტი

ოცდახუთი წლის წინ ნოვატორ პედაგოგთა ჯგუფმა გამოაქვეყნა პერედელკინოს შეხვედრაზე მიღებული მანიფესტი „თანამშრომლობის პედაგოგიკა“. მანიფესტმა იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერ და პრაქტიკოს პედაგოგთა შორის, მსოფლიოს მრავალ რეგიონში. მომდევნო წლებში გამოქვეყნდა ნოვატორ პედაგოგთა შეხვედრების ანგარიშები, სადაც განხილული იყო თანამშრომლობის პედაგოგიკის სხვადასხვა ასპექტი. კერძოდ, წინანდლის შეხვედრაზე შეიმუშავეს პიროვნების დემოკრატიზაციის პროგრამა (1987 წ.), მოსკოვის შეხვედრაზე – განახლების მეთოდიკა (1988 წ.), კრასნოდარის შეხვედრაზე – ახალი სკოლის კონცეფცია (1988 წ.).

თანამშრომლობის პედაგოგიკის იდეები ასეულ ათასობით პედაგოგმა აიტაცა მთელ ცივილიზებულ სამყაროში. მათმა შემოქმედებითმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საგანმანათლებლო პრაქტიკის განახლებაში, ახალ საფეხურზე აიყვანა მეცნიერულ-პედაგოგიური აზროვნება – თანამშრომლობის პედაგოგიკის პრინციპები პედაგოგიკური თეორიის საკუთრებად იქცა. სამწუხაროდ, 1989 წლიდან ჩვენში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს პედაგოგიური საზოგადოებრიობა იმ მოვლენების მიღმა დატოვა, მსოფლიოს საგანმანათლებლო პრაქტიკაში რომ მიმდინარეობდა.

ამ უკანასკნელ ათწლეულებში კაცობრიობის ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილებები მოხდა, რაც ღრმა შეშფოთებას იწვევს მოზარდი თაობისა და განათლების ბედით დაინტერესებულ ადამიანებში. უფრო მეტიც, სრულიად აშკარად იკვეთება დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების პრობლემა.

ახლა ბევრი ხედავს კლასიკური პედაგოგიური ღირებულებების, მისი ფუნდამენტური ცნებების – სულიერებისა და ჰუმანიზმის, მადლისა და სიყვარულის, მშვიდობისა და სიკეთის აღზრდის პრაქტიკაში დაბრუნების აუცილებლობას. მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ამ ფუნდამენტური ცნებების საფუძველზე გარდაქმნილი პედაგოგიური ცნობიერება დაძლევს განათლებაში ავტორიტარიზმს, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში უსულგულობასა და უზნეობას ამკვიდრებს.

სწორედ ამ მიზეზებმა და მოტივებმა ჩამოიყვანა საქართველოში ჰუმანური პედაგოგიკის მიმდევრები – სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, პედაგოგები, აღმზრდელები, საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები, რომლებიც ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტის, შალვა ამონაშვილის მოწვევით შეიკრიბნენ მის მამულში თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში, სადაც სამდღიანი მუშაობის შემდეგ მიიღეს „ჰუმანური პედაგოგიკის მანიფესტი“.

შეხვედრა გაიხსნა და პირველი პლენარული სხდომა, 2011 წლის 15 ივლისს, გაიმართა წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში. პლენარული სხდომის შემდეგ სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს წინანდლის ისტორიული ბაღი და ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ამის შემდეგ, შეხვედრის მონაწილეებმა გადაინაცვლეს სოფელ ბუშეტში, შალვა ამონაშვილის მამულში, სადაც 2011 წლის 17 ივლისს ხელი მოეწერა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის საბოლოო აქტს – „ჰუმანური პედაგოგიკის მანიფესტს“.

„ჩვენ – „ჰუმანური პედაგოგიკის მანიფესტის“ თანაავტორები, – ნათქვამია მიღებულ დოკუმენტში, – მივმართავთ მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების მდგომარეობით შეშფოთებულ მსოფლიო საზოგადოებრიობას, თითოეულ მასწავლებელს, აღმზრდელს, პედაგოგს, განათლების დარგის ხელმძღვანელს, თითოეულ მშობელს, სტუდენტს, მოსწავლეს და ვთავაზობთ „ჰუმანური პედაგოგიკის მანიფესტს“, რომლის იდეებმა ხელი უნდა შეუწყოს მოზარდი თაობის სულიერ-ზნეობრივ ჩამოყალიბებას ბავშვისადმი პიროვნულ-ჰუმანური მიდგომის საფუძველზე“.

„მანიფესტი“ მოუწოდებს კაცობრიობის ხვალინდელი ბედით შეშფოთებულ ადამიანებს, გაერთიანდნენ „მანიფესტის“ იდეებისა და პრინციპების საფუძველზე თანამშრომლობისათვის საგანმანათლებლო სამყაროს გაჯანსაღებისა და განახლების მიზნით, რათა თითოეული ბავშვი:

- აღიზარდოს კეთილშობილ და სულგრძელ პიროვნებად;
- განვითარდეს სულიერად და ზნეობრივად;
- დაეუფლოს ცოდნას, გაიფართოოს ცნობიერება, რომელიც მის შემოქმედებით უნარებს წარმართავს სიკეთის ქმნის, დაცვისა და დამკვიდრებისაკენ;
- ისწავლოს თავისუფალი ნების გამოხატვა, დაცვა და ცხოვრებაში რეალიზება;
- უყვარდეს სამშობლო, აფასებდეს და უფრთხილდებოდეს თავისი ხალხისა და კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან კულტურას.

„ჰუმანური პედაგოგიკის საფუძველზე მსოფლიოს განათლების სივრცის განახლებისათვის, – აღნიშნულია მანიფესტში, – ჩვენ მოგვიწევს გავიაზროთ და დავძლიოთ ის წინააღმდეგობანი, რომელიც უსათუოდ შეგვხვდება, როგორც გარე, ისე ჩვენს შინაგან სამყაროში“.

„მანიფესტის“ თითოეული პარაგრაფი, თითოეული დებულება განმსჭვალულია ოპტიმიზმით, კაცობრიობის ჯანსაღი ძალებისადმი რწმენითა და იმედით. კაცობრიობას მოსალოდნელი კატასტროფისაგან ვერ იხსნის თუნდაც პროგრესული ჯგუფების ხელში მოქცეული ძალა, რადგან ძალადობა უცილოდ დაბადებს ძალადობას. კაცობრიობას იხსნის მხოლოდ სიყვარული, ის მომავალი თაობა, რომელიც სიყვარულისა და თანალმობის საფუძველზე აღიზრდება. ამგვარ აღზრდას ქადაგებს და ამკვიდრებს ჰუმანური პედაგოგიკა, რომელიც მოგვიწოდებს, ვიაროთ წინ – წარსულისაკენ, სადაც კაშკაშებენ ჰუმანიზმის უდიდესი შუქურები.

შეხვედრის დასასრულს, ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრის სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, „ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის“ საპატიო წოდება მიენიჭა და ოქროს სამკერდე ნიშანი გადაეცა ქართველ ნოვატორ პედაგოგს, თანამშრომლობის პედაგოგიკის აქტიურ მიმდევარს, შალვა ამონაშვილის ცნობილი ექსპერიმენტების უცვლელ თანამონაწილეს, თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს, ქალბატონ მზია გვილავას.

17 ივლისს, ბუშეტის „მანიფესტის“ ხელმომწერთა მთელი ჯგუფი მიიღო და გულითადი საუბარი გაუმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეს დაუვიწყარი შეხვედრა ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებმა სიხარულისა და აღტაცების ცრემლით გაბრწყინებული თვალებით დატოვეს საპატრიარქო.

დარწმუნებული ვარ, ბუშეტის მანიფესტით ახალი ერა დაიწყება კაცობრიობის აღზრდა-განათლების ისტორიაში, რომელიც ხელს შეუწყობს სიყვარულის დამკვიდრებას დედამიწაზე.

ზურაბ ცუცქირიძე

ბუშეტის შეხვედრის მონაწილე

ინფორმაცია

* * *

სკოლის მოსწავლეებში ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ ინტერესის გაღვივებისა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს მოსწავლე-გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი“.

კონკურსის დეტალებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა სპეციალურ ბრიფინგზე ისაუბრეს. კონკურსი გამოავლენს და წაახალისებს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს და ხელს შეუწყობს მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

კონკურსი ორ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც დაინტერესებულია სიახლით, დღემდე არსებული ტექნიკური მიდგომების ახლებური გადაწყვეტილების ძიებითა და ზოგადად ინოვაციებით. რაც შეეხება კონკურსის მეორე ეტაპს – მასში 18 წლამდე უცხოელი მოზარდები ჩაერთვებიან.

პროექტები მიიღება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. საკონკურსო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს გამოგონების აღწერილობის ტექსტი და საილუსტრაციო ნახაზი, მოდელი ან მაკეტი.

კონკურსის აუცილებელი პირობაა, რომ მსურველებმა განაცხადების ელექტრონული ვერსია ატვირთონ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე – www.rustaveli.org.ge – მითითებულ სპეციალურ ბაზაში და დარეგისტრირების შემდეგ, ნამუშევარი მოიტანონ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.

ელექტრონული რეგისტრაცია 6 ნოემბერს, ხოლო ნამუშევრების წარმოდგენა 18 ნოემბერს დასრულდება.

წარმოდგენილ პროექტებს სპეციალური კომპეტენტური ჟიური სპეციალურად მოწყობილ გამოფენაზე შეაფასებს.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების ავტორები დაჯილდოვდებიან მედლებითა და ფულადი პრემიებით. I ადგილზე გასული პროექტის წარმომდგენს – 5000 ლარი, II ადგილზე – 3 000 ლარი, III ადგილზე – 2 000 ლარი გადაეცემა. გრანპრის მფლობელი პროექტის ავტორი ან ავტორები კი, სასწავლო შემეცნებითი ტურით, საზღვარგარეთ გაემგზავრებიან.

მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ საკონკურსო დეტალები შეგიძლიათ იხილოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდებზე:

www.mes.gov.ge, www.rustaveli.org.ge

* * *

პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე უცხოელი პედაგოგები დღეს კახეთს ეწვივნენ და რთველში მიიღეს მონაწილეობა. ასამდე მასწავლებელმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან პროფესიული კოლეჯის „აისი“ ბაზაზე არსებულ ვენახში ყურძენი დაკრიფეს.

რთველის შემდეგ დაკრეფილი ყურძენი პედაგოგებმა სპეციალურად მათთვის მომზადებულ სანნახელში დაწურეს.

პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეცნობიან ქართულ ტრადიციებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოხალისეები თავად გახდებიან საქართველოს კეთილი ნების ელჩები და მსოფლიოს ქართულ კულტურას გააცნობენ.

უცხოელი პედაგოგები, საგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად, აქტიურად ეცნობიან ქართულ ტრადიციებს და თავადაც მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში.

* * *

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მენტორ მასწავლებლობის მსურველებისთვის სამოდელო გაკვეთილი ჩატარდა. საგაკვეთილო პროცესს მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი დაესწრნენ.

სამოდელო გაკვეთილი ინგლისურ ენაში ჩატარდა. მოწვეულ პედაგოგებს მენტორ-მაძიებლის მუშაობის სპეციფიკა და მეთოდოლოგია აჩვენეს. საჩვენებელ გაკვეთილს სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან მოწვეული პედაგოგები ესწრებოდნენ.

მენტორ მასწავლებლების შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი დასრულდა. ამჟამად, კონკურსანტებთან გასაუბრება მიმდინარეობს. მენტორობის მსურველებმა გასაუბრებაზე სამოდელო გაკვეთილი უნდა წარმოადგინონ. მენტორ მასწავლებლის კონკურსში მხოლოდ სერტიფიცირებული მასწავლებლები მონაწილეობენ.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რომელთაც ხელფასზე 75-ლარიანი დანამატი აქვთ, მენტორობის შემთხვევაში, ანაზღაურება, დამატებით, კიდევ 160 ლარით ეზრდებათ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულ მენტორ მასწავლებლებს კი, ხელფასის გაზრდასთან ერთად, დამატებითი კრედიტებიც უგროვდებათ. მენტორ მასწავლებლის პროგრამა უკვე მეორე წელია მოქმედებს. გასულ წელს პროგრამა მხოლოდ 7 ძირითად ქალაქში ფუნქციონირებდა. წელს ეს რიცხვი 10-მდე გაიზარდა. 2011-2012 სასწავლო წლიდან მენტორ მასწავლებლებს მუშაობა შეეძლებათ: თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთისა და რუსთავის სკოლებში.

* * *

სასწავლო დაწესებულების მანდატურებმა ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მოინახულეს და მთელი დღე მათთან ერთად გაატარეს. ბავშვთა სახლის პედაგოგებს კი, სხვადასხვა სახის ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში გაუწიეს დახმარება. მანდატურებმა აღსაზრდელების კვება, ძილი და მათი უსაფრთხოება პირადად უზრუნველყვეს. მათ ბავშვებს სხვადასხვა სახის საჩუქრები გადასცეს.

მანდატურები სხვადასხვა ბავშვთა სახლებს სისტემატურად სტუმრობენ და მსგავსი სახის აქციებს თითქმის ყოველკვირა აწყობენ. საქველმოქმედო აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

მსგავსი ღონისძიებები მანდატურებსა და ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კეთილგანწყობას და ნდობის ზრდას უწყობს ხელს, რაც, საბოლოოდ, დანაშაულის პრევენციას უზრუნველყოფს.

სპორტი

ფეხბურთელები ელიტრაუნდში გავიდნენ

საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ელიტრაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. საკვალიფიკაციო ჯგუფის შეხვედრებს ქართველი ფეხბურთელები მოლდოვაში ატარებდნენ და პირველ ტურში, დაძაბულ შეხვედრაში, ბულგარეთს 3:2 სძლიეს. მეორე მატჩში მათი მეტოქე მოლდოვას ნაკრები იყო, რომელსაც სპეციალისტები ანგარიშგასაწევ ძალად მხოლოდ იმიტომ მიიჩნევდნენ, რომ მასპინძელი იყო, თორემ წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით არც ისე ბევრი ღირსება გააჩნდა, რაც შეხვედრამაც დაადასტურა.

ქართველთა თავკაცმა ვასილ მაისურაძემ დაუწერელი კანონი დაარღვია და მოგებული შემადგენლობა შეცვალა, ოღონდ მცირედით და არა რადიკალურად – დაცვაში ორი კაცი დაასვენა და, მათ ნაცვლად, წინა ხაზი გააძლიერა (ერთი მცველი და ერთიც თავდამსხმელი შემოიყვანა), ანუ აქცენტი შეტევაზე გააკეთა, რამაც გაამართლა კიდეც. პირველი მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად სათადარიგოებში იყვნენ გიორგი გაბაძე და ალეკო ჩაკვეტაძე, მათ ნაცვლად კი, მოლდოვასთან მატჩი ძირითადში დაიწყეს მცველმა ლაშა დვალმა და თავდამსხმელმა დავით დარციმელიამ. ცვლილების მიუხედავად, ჩვენებს სწრაფი გოლი არ გამოუვიდათ, თუმცა მთელი პირველი ტაიმი საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და მოედანზე დომინირებდნენ. ტაიმის მეორე ნახევარში მათ კიდევ უფრო გააძლიერეს მეტოქეზე ზეწოლა და გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვეს – სწორედ მაშინ გაიტანეს გოლები და შეხვედრის გარდამტეხი მონაკვეთი ეს პერიოდი აღმოჩნდა. ჯერ იყო და 34-ე წუთზე ქართველთა აქტიურობას მოწინააღმდეგის საჯარიმოში მოლდოველთა უხეშობა მოჰყვა. დანიშნული პენალტი ზუსტად დაარტყა ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა, რომელმაც ბულგარელებთანაც გაიტანა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მეორე გოლიც მალევე გავიდა – 5 წუთში, როცა ნიკა ჭანტურიამ თავი გამოიჩინა.

ამის შემდეგ, ტაიმის დასრულებამდე, განსაკუთრებულად აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. მეორე ტაიმის დაწყებიდან მალევე კი მასპინძლებს ერთი გოლის გაქვითვის შესაძლებლობა მიეცათ – 56-ე წუთზე პენალტი უკვე ჩვენს კარში დაინიშნა, თუმცა მოლდოველებმა ბურთი ძელს გაარტყეს. მათ მაინც შეძლეს ერთი გოლის გატანა 65-ე წუთზე, თუმცა ამ დროს თამაშის ბედი, ქართველთა მაღალი ოსტატობის გამო, დარჩენილი საკმაოდ სოლიდური სათამაშო დროის მიუხედავად, გადაწყვეტილი ჩანდა. ანგარიში მართლაც არ შეცვლილა, ჩვენებმა მორიგი გამარჯვება მიითვალეს – 2:1 და ჯგუფიდან გასვლაც გაინაღდეს.

ამ დროისთვის შვედეთს კიდეც რომ მოეგო ბულგარელებისთვის, 6-6 ქულით პირველ-მეორე ადგილებზე ვიქნებოდით და ელიტ-რაუნდის საგზურებს გავინაღდებდით, რაკი ჯგუფიდან ორი გადიოდა, მაგრამ სკანდინავიელებმა ბულგარელებთან ფრედ ითამაშეს – 0:0 და შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი ბოლო ტურში, ჩვენთან შეხვედრისთვის გადადეს. ეს ორთაბრძოლა საქართველოს ნაკრებისთვის არაფერს ნიშნავდა – ელიტრაუნდისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჯგუფში პირველ ადგილზე გახვიდოდი თუ მეორეზე. სამაგიეროდ, აქ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათები კი გადაგვყვებოდა იქ. ამიტომ მაისურაძემ შვედებთან შეხვედრაში იმ ფეხბურთელთა უმრავლესობა დაასვენა, რომლებსაც წინა მატჩებში გაფრთხილებები უკვე ჰქონდათ მიღებული. ცვლილებები გვარიანი გამოუვიდა და ქართველებმა შეხვედრა 0:2 დათმეს. ამდენად, ჯგუფში პირველ ადგილზე შვედეთი გავიდა 7 ქულით, ჩვენ კი 6-ით მეორე ადგილი გვერგო.

ელიტრაუნდში ჩვენს მეტოქეთა ვინაობას, გათამაშების კალენდარსა და სხვა დეტალებს გავიგებთ.

ძიუდოს ახალი თაობა

ქართულ ძიუდიოში ბოლო დროს შექმნილი არასახარბიელო ვითარების ფონზე, რამაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები ხუხულასავით დაშალა და აგერ ამდენი სეზონია, წარმატებას ამაოდ ველოდებით, ისევ ასაკობრივი ნაკრებების წარმატებით თუ გავიხარებთ. საბედნიეროდ, იქ ისეთი პროცესები ვითარდება, დამშვიდების იმედი ნამდვილად შეიძლება გვქონდეს, რომ არა ერთი ძალზე სერიოზული ფაქტორი – მიეცემათ თუ არა ამ ბიჭებს სწორი განვითარების საშუალება ეროვნულ ნაკრებში გადასვლის შემდეგ! ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან ეროვნული გუნდი ნებისმიერი სახეობისთვის იგივეა, რაც სახურავი – სახლისთვის.

ახლახან ახალგაზრდა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავეს და წარმატებითაც – 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (66) გახდა, ლაშა ჭელიძემ (55) და ლევან მატიაშვილმა (+100) ფინალური შეხვედრები დათმეს, მიხეილ ჩოხელი (73) კი მესამეზე გავიდა. ამასთან, კიდევ რამდენიმე ძიუდოისტმა იჭიდავა მედლისთვის, ანუ გუნდი თანაბრადაა დაკომპლექტებული და, რაც მთავარია, იმდენად ძლიერია, მაღალი მიზნებისთვის შეუძლია ბრძოლა. ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებში საგრძნობია წინსვლა მთელ რიგ ისეთ საჭიდაო კომპონენტებში, რაც აქამდე ჩვენს „აქილევსის ქუსლად“ იყო ქცეული – ფიზიკური მომზადება, სუნთქვა და გამძლეობა, ჩოქბჯენში ჭიდაობა, ტაქტიკური ამოცანების ასრულება... მაგალითად, შავდათუაშვილმა ფინალში ისე მოღალა სლოვენიელი მეტოქე, ფეხზე ძლივს იდგა, თვითონ კი ოდნავადაც არ ეტყობოდა დაღლა. ალბათ, ხელახლა რომ შეგეშვა ტატამზე, შეუსვენებლად მეორე შეხვედრასაც დაუღლელად ჩაატარებდა.

ზაფხულის განმავლობაში ძალიან კარგად გამოვიდა ჭაბუკთა ნაკრებიც. მათ ევროპის პირველობაზე 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო დაიმსახურეს, მსოფლიოზე – 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. წლეულსვე ტრაბზონში ჩატარდა ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალი, სადაც ჩვენებმა 1 ოქრო და 4 ბრინჯაო ირგუნეს. გუნდში იყო რამდენიმე ისეთი ფალავანი, რომლებმაც სამივე ამ ტურნირში მედალი მოიპოვეს (მაგალითად, ლევან გუგავა სამივე ტურნირში მესამეზე გავიდა). მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული ძიუდოსთვის ისტორიული ფაქტიც ვიხილეთ – ქართული ფინალი გაიმართა (გურამ თუშიშვილმა ევროპის ვიცე-ჩემპიონი შალვა ჩოჩელი დაამარცხა), მაგრამ ყველაზე გამორჩეულ წარმატებას გორელმა ბექა ღვინიაშვილმა (81) მიაღწია – სამივე შეჯიბრებაზე ჩემპიონი გახდა! ამ ასაკში ასეთ ფენომენალურ წარმატებას მსოფლიოში მხოლოდ ერთმა ძიუდოისტმა მიაღწია – რუსმა ირინა დოლგოვამ (44). აღსანიშნავია, რომ სამივე შეჯიბრება სულ რაღაც თვენახევრიან მონაკვეთში ჩატარდა, რაც ჭაბუკებისთვის დიდი დატვირთვა იყო, მაგრამ ღვინიაშვილმა, ჩინებული ფიზიკური მომზადების ხარჯზე, ყველაფერს გაუძლო, 17 ორთაბრძოლა ჩაატარა და უკლებლივ ყველა წმინდად მოიგო. გოგონასთან შედარება იქნებ არაეთიკურია, მაგრამ დოლგოვას ასეთი მაჩვენებელი არ ჰქონია. მისი სახით ქართულ ძიუდოს ახალი ტალანტი გამოუჩნდა.

მიმაჩნია, რომ ასეთი მასშტაბური წარმატება მწვრთნელთა ახალი თაობის დამსახურებაცაა. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი გიორგი გუგავა გახლავთ, ჭაბუკებისა – ახლო წარსულის ცნობილი ფალავანი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი გიორგი ვაზაგაშვილი.

ბელგიელებმა შენგელია დაიბრუნეს

ლიტვაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ჩინებულმა გამოსვლამ ახალგაზრდა კალათბურთელ თორნიკე შენგელიას საკლუბო კარიერაზეც დადებითად იმოქმედა. ყველასთვის მოულოდნელად, 19 წლის კალათბურთელი ლიტვაში ჩვენი გუნდის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერად იქცა. ის მუდამ მიიჩნეოდა ახალი თაობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ კალათბურთელად, მაგრამ ეროვნული ნაკრები და ევროპის პირველობა სხვა დონეა – იქ ასპარეზობა ბევრად უფროსებსა და გამოცდილებსაც გაუჭირდათ, ხოლო მას ამ დონეზე საასპარეზოდ გამოცდილება აშკარად აკლია. ამის მიუხედავად, თავისუფლად და ყოველგვარი მღელვარების გარეშე ითამაშა. მართალია, არსენალის გამრავალფეროვნება აშკარად სჭირდება, მაგრამ პირველივე შეხვედრიდან თვალშისაცემი იყო, როგორ უშიშრად და თამამად მიდიოდა შეტევაზე. სამწუხაროდ, ჩვენს ნაკრებში გადამწყვეტ მომენტებში ბევრს აუკანკალდა ხელი, მაგრამ ეს შენგელიაზე ყველაზე ნაკლებად ითქმის – კრიტიკულ მომენტებში არაერთხელ ჩააგდო ჰაერივით საჭირო ქულები და გუნდში ლიდერად მოგვევლინა. ის ერთ-ერთია კალათბურთელთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფიდან, ვის მხრებზეც ჩემპიონატის მთელმა სიმძიმემ გადაიარა.

ამჟამად შენგელია ბელგიაში თამაშობს – კონტრაქტით ჩემპიონ „შარლერუას“ ეკუთვნის, მაგრამ შარშან „პეპინსტერში“ თამაშობდა. წლეულს, სწორედ ევროპის პირველობაზე ჩინებული გამოსვლის შემდეგ „შარლერუამ“ სასწრაფოდ დაიბრუნა გასხვისებული მოთამაშე. ბელგიაში ჩემპიონატი 1 ოქტომბერს დაიწყება, მანამდე კი, კლუბი სპარინგ-მატჩებს ატარებს და ჩვენებურმაც იქ გამოიჩინა თავი – მათ შემადგენლობაში 3 შეხვედრა ჩაატარა და ჯამში 37 ქულა ჩააგდო. განსაკუთრებული ფურორი პირველ მატჩში მოახდინა, როცა „შარლერუა“ ბელგიის თასზე „დექსია მონსს“ შეხვდა. ის ორთაბრძოლა ქართველის კლუბმა წააგო, მაგრამ ჩვენებური ჩინებულად გაისარჯა – 16 ქულა ჩააგდო და იქაური მედიის ყურადღებაც მიიქცია.

მომდევნო მატჩები „შარლერუამ“ ვილნიუსში იქაურ „ლიეტუვას რიტასთან“ ჩაატარა და ორივე წააგო, მაგრამ შენგელიამ პირველში 8 ქულა და ამდენივე მოხსნა მოინადავლა, მეორეში კი 13 ქულა ჩააგდო. იქაურ მედიას აქედანვე არ ეეჭვება, რომ ახალ სეზონში კლუბი ქართველს დიდ სათამაშო დროს დაუთმობს და მასზე სოლიდურ აქცენტს გააკეთებს. არც ჩვენ გვეეჭვება, რომ ბელგიის ძლიერ ლიგაში ჩვენებური კიდევ უფრო აიმაღლებს ოსტატობას და გაისად, როცა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება, ნაკრებს წლევანდელზე ბევრად შედეგიანად შეემატება. მით უფრო, ჩვენი გუნდი უკვე I კალათაში მოხვდა სერბეთთან, თურქეთთან, გერმანიასთან, ფინეთთან და ხორვატიასთან ერთად. ევროპის წლევანდელი პირველობის მოწინავე ექვსეული – ესპანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ლიტვა, საბერძნეთი და მაკედონია, აგრეთვე ოლიმპიადის მასპინძელი ბრიტანეთი და „ევრო-2013“-ის მასპინძელი სლოვენია ავტომატურად დაუშვეს ტურნირში. ცხადია, ეს ყველაფერი ევროპის 2013 წლის პირველობაზე ჩვენი მოხვედრის შანსებს საგრძნობლად ზრდის. მით უფრო, I კალათის დამსახურებით, საკვალიფიკაციო ჯგუფში შედარებით სუსტი მეტოქეები გარანტირებულია.

შენგელიას პარალელურად, უცხოური მედია, ოღონდ ამჯერად იტალიური, კიდევ ერთ 19 წლის ქართველს აქებს – ნიკა მეტრეველს, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვანი „სიენას“ კუთვნილებაა, თუმცა სასარის „დინამოშია“ განათხოვრებული. მან ახლახან „კალიარის თასზე“ ითამაშა და მეორეზე გავიდა, თუმცა პირადი მიღწევები ბევრად უკეთესი აქვს. ასე მაგალითად, ნახევარფინალში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს, ბელგრადის „პარტიზანს“ 8 ქულა ჩაუგდო. ფინალში „სიენასთან“ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა, მაგრამ 7 ქულა მათთანაც მიითვალა. ევროპის ორ გრანდთან 15 ქულა კი, ნამდვილად არაა სახუმარო საქმე.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი – 11 ლარი
- ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი – 13 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი, I-II ტომი – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე, I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე, I-V ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!
მოსწავლეებისა და
პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო
განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
30 სექტემბრამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

ჯეჯოჯვიერთდით!





მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის
რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.